ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

**ადვოკატი — კობაური ამბობს, რომ შეესწრო, თუ როგორ მოკლა სავარაუდოდ ორმა ლეკმა სმიტების ოჯახი და მასაც დაემუქრა**

გვ.7



**10 ივლისიდან**

მაკა სეფაშვილი

**დანაშაული აღარ მოხდება**

ქართული დეტექტივი ტომი 8




**ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი**

პარასკევი, 13 ივლისი, 2018 | №164 (7709) | ფასი: 60 თეთრი

# დაიჭერენ თუ არა მამუკა ხაზარაძეს

გვ.2



## ბახტაძემ წულუკიანს და სერგეენკოს ძვრა ვერ უყო

გვ.3







## პეტრე მამრაძე: „გარემოს დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობაში შეყვანა დანაშაულის ტოლფასია“

გვ.4




## „პატიმარმა მითხრა, რომ რუსებმა დოდო გუგეშაშვილის მკვლელობა შეუკვეთეს“

გვ.5



გელა ნიკოლაიშვილი: „ეს ერთი კვირის ინფორმაციაა“

## ზაზა ხატიაშვილი: „მე რომ პოლიტიკოსი ვიყო, გამიხარდებოდა წულუკიანის დატოვება“

გვ.5



## გიგა ბუკია: „კახი კახიშვილს ახლაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება“

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: „ბატიაშვილი როცა ჟურნალისტი იყო, მაშინ პრეზიდენტის პრესმდივანი ვიყავი“

გვ.4



### სამართალი

გვ.7



პაატა ბურჭულაძე: **„თუ მე ამას მიკეთებენ, მთელ საქართველოს უკვე პატრონი არ ჰყავს, რადგან აღარავინ არის დაცული“**



**„ზუსტად ვიცი, ანა შეყვარებულმა მოკლა“ — თემქაზე მოკლული 20 წლის გოგოს მეგობრის სკანდალური ჩვენება**

**ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის ვაკის პარკში დაპირისპირება მოხდა**




### ეკონომიკა

გვ.6

**რეგულაციების გამკაცრებით ქვეყანა ავტოსასაფლაოდ არ უნდა გადაიქცეს**



**4 მილიარდ ლარზე მეტი დაფინანსება განათლების სექტორს და 6 წელიწადში შეცვლილი 5 მინისტრი**



**ირაკლი ლექვინაძე კომპანია „ახალი თევზის“ შესახებ: „დავინტერესდით, რას ითხოვდა კომპანია“**



ISSN 1987-9385

9 771987 938006

**2** ვანო ზოდელავა ისევ უგონო მდგომარეობაშია

**3** აკაკი ცომაია: „ბახტაძე კვირიკაშვილზე უკეთესი პრემიერი ვერ იქნება“

**6** „ბაუ სტარი“: „რომან ფიფიას ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ კორპუსის 2 სართული აჩუქა, ალბათ ჩვენგანაც იგივეს ელის“

**2** თამაზ წივწივაძე გარდაიცვალა

# დაიჭერენ თუ არა მამუკა ხაზარაძეს

შორენა მარსაგიშვილი



ქვეყანაში დიდი ამბებია მოსალოდნელი. „ქართული ოცნების“ კულუარებში უკვე ღიად საუბრობენ იმაზე, რომ გიორგი კვირიკაშვილს და მის გუნდს სერიოზული პრობლემები შეექმნებათ. მმართველ გუნდში არ გამორიცხავენ, რომ ის ხალხი, ვინც ყოფილი პრემიერის ბანაკში მოიაზრებოდა, შესაძლოა, გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.

დიმიტრი ქუმსიშვილს და ზურაბ ალავიძეს პრობლემები უკვე შეექმნა. „ოცნებაში“ ამბობენ, რომ მათ წინააღმდეგ საქმე აღიძრა და მათ ქვეყნიდან გასვლის უფლება არ აქვთ.

გიორგი კვირიკაშვილის გუნდში მოიაზრებოდა მამუკა ხაზარაძეც. რომლის წინააღმდეგ ბრძოლა გაცილებით ადრე დაიწყო. მას ჯერ კიდევ მაშინ დაარტყა „ქართულმა ოცნებამ“, როცა პრემიერი კვირიკაშვილი იყო. ხაზარაძეს მაშინდელი ფინანსთა მინისტრი და ახლა უკვე პრემიერი მამუკა ბახტაძე დაუპირისპირდა.

გუშინ, 12 ივლისს, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროკურატურამ ხაზარაძის წინააღმდეგ საქმე აღძრა.

პროკურატურა ამ ინფორმაციას ოფიციალურად არ ადასტურებს. ამ ინფორმაციას უარყოფს თიბისი ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიც.

მმართველ გუნდში კი ამტკიცებენ, რომ პროკურატურამ ხაზარაძის საქმეს სერიოზულად მოჰკიდა ხელი.

როგორც ამბობენ, საგამოძიებო უწყებაში გამოკითხვაზე უკვე დაიბარეს რამდენიმე ბიზნესმენი. საუბარია იმ ბიზნესმენებზე, რომლებსაც ნაციონალების ხელისუფლების დროს გარკვეული პრობლემები შეექმნათ სამართალდამცველ უწყებებთან.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესმენების ნაწილი, რომლებსაც სამართლებრივი პრობლემები ჰქონდათ ნაციონალების დროს, საპროცესო თანხას თიბისი ბანკში ქონების დაგირავებით იხდიდა.

მეტრონომის ინფორმაციით, პროკურატურას აინტერესებს, ჩართული იყო თუ არა მამუკა ხაზარაძე საპროცესო გარიგებების გზით დიდი ოდენობით თანხების გათეთრებაში სააკაშვილის ხელისუფლების დროს.

მამუკა ხაზარაძე რომ ნაციონალებთან რაღაც ფორმით თანამშრომლობდა, ამაზე „ოცნებაში“ უკვე ბევრს ლაპარაკობენ. არადა, ამის გამო თიბისის შეფზე მიწოლა არ ღირს. ქვეყნის მთავარი მეოცნებე – ბიძინა ივანიშვილი – წლების მანძილზე ნაციონალების დამფინანსებელი და გვერდში მდგომი იყო.

„ოცნებაში“ ამბობენ, რომ ხაზარაძეს არა ძველი, არამედ ახალი ცოდვების გამო მოსთხოვენ პასუხს და ეს ცოდვები მარტო ნაციონალებს არ უკავშირდება.

ხაზარაძეს, კვირიკაშვილის გუნდის სხვა წევრებთან ერთად, მოქმედი პრემიერის ჩაძირვაშიც ედება ბრალი. რამდენიმე თვის წინ ანალიტიკოსმა გოჩა მირცხულავამ „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ მთავრობის ერთ-ერთი პიარ-ჯგუფის მიერ მამუკა ბახტაძეზე გროვდებოდა კომპრომატები. ამ პიარ-ჯგუფს კი მამუკა ხაზარაძე აფინანსებდა.

კვირიკაშვილი და მისი გუნდი ივნისში გამართულმა აქციებმა შეიწირა. „ოცნების“ ერთმა ფრთამ ბიძინა ივანიშვილი დაარწმუნა იმაში, რომ საპროტესტო აქციებს კვირიკაშვილი ხაზარაძის დახმარებით აფინანსებდა.

იმავე პერიოდში მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აქციების მიმდინარეობის დროს დიმიტრი ქუმსიშვილი შეხვდა აქციის ორგანიზატორებს. გავრცელებული ჩანაწერით, ქუმსიშვილი გიორგი ვაშაძეს სთხოვდა, რომ კვირიკაშვილისთვის თავი დაენებებინათ და გიორგი გახარიას გადადგომა მოეთხოვათ.

აღსანიშნავია, რომ თავიდან აქციის მონაწილეები კვირიკაშვილის და გახარიას გადადგომას ითხოვდნენ, მაგრამ ბოლოს მარტო გახარიას ფანდარასტს გაიძახოდნენ.

კვირიკაშვილმა თანამდებობა ერთი თვის წინ, 13 ივნისს, დატოვა. ამ ერთი თვის მანძილზე მის შესახებ არავის არაფერი სმენია. ის არც საჯაროდ გამოჩენილა და არც განცხადება გაუკეთებია რამე.

კვირიკაშვილის გაუჩინარებაზე გუშინ, 12 ივლისს კომენტარი გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის განცხადებით, გიორგი კვირიკაშვილის თანამდებობიდან გადადგომაზე კითხვები არა მხოლოდ პარტნიორებს, არამედ რიგით მოქალაქეებსაც აქვთ.

– ისე გამოჩნდა, თითქოს ეკონომიკური პრობლემების გამო წავიდა, არადა მაისში თურმე გვქონია იმხელა ეკონომიკური ზრდა, რომელიც საქართველოს აქამდე არ ჰქონია.

რატომ გაქრა პოლიტიკური ველიდან კვირიკაშვილი? შემდგომ რატომ გაქრა პოლიტსაბჭოდან და ფაქტობრივად სახელმძღვანელოებიდან მისი ფოტოს ამოჭრა რატომ ხდება?

რა დააშავა ამ ადამიანმა? – ეს კითხვა პარტნიორებს კი არა, ეს კითხვა ისმის ნებისმიერ ქართულ ოჯახში, სადაც შედიხარ.



აღარ გეკითხებიან, გვეშველება თუ არა რამე, გეკითხებიან – კვირიკაშვილი რატომ წავიდა? მე პასუხი არ მაქვს და მე ეს კითხვა არაერთხელ დავსვი, – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი.

გიორგი მარგველაშვილის თქმითვე, ყველასთვის გაუგებარია, რატომ გადადგა კვირიკაშვილი. პრეზიდენტი ამბობს, რომ არავის დაუსახელებია მიზეზი, თუ რის გამო შეიცვალა პრემიერი და უფრო მეტიც, საზოგადოებამ არ იცის, რატომ არავინ უხსნის მას პრემიერის გადადგომის მიზეზს.

– თუ ვინმე ახსნის, რატომ არ აუხსნა არავინ საქართველოს მოქალაქეებს, რატომ წავიდა თანამდებობიდან კვირიკაშვილი... არა მარტო ახსნა არ ვიცით, არამედ ისიც არ ვიცით, რატომ არ გვიხსნიან, – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე გამოეხმაურა.

მისი თქმით, კითხვები, რომელსაც პრეზიდენტი სვამს, პასუხგაცემულია თავად გიორგი კვირიკაშვილის მხრიდან.

– პირადად მე არ მომისმენია პრეზიდენტის განცხადება, მაგრამ ამ კითხვებზე არის პასუხები თავად ბატონი კვირიკაშვილის ბრიფინგიდან, სადაც მან ამომწურავად ისაუბრა და პრეზიდენტს შეუძლია კიდევ ერთხელ ნახოს ის ბრიფინგი და განცხადებები, რაც ბატონმა გიორგი კვირიკაშვილმა გააკეთა, – აღნიშნა არჩილ თალაკვაძემ.

## კომერციულმა ბანკებმა 5 თვეში 214,9 მილიონი ლარის ქონება დაისაკუთრეს



2018 წლის 5 თვეში კომერციულმა ბანკებმა 214,9 მილიონი ლარის ღირებულების უძრავი ქონება დაისაკუთრეს. 2017 წლის 5 თვეში ეს მაჩვენებელი 165,2 მილიონი ლარი იყო.

ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანალიზის თანახმად, 2018 წლის 5 თვეში კომერციული ბანკების მიერ ჩამოწერილი სესხების რაოდენობამ 22,7 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წლის ანალოგიურ პერიოდში ეს მაჩვენებელი 20,5 მილიონი ლარი იყო.

ეროვნული ბანკის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა აჩვენებს, რომ 2018 წლის 5 თვეში კომერციული ბანკების მიერ ამოღებული სესხების მაჩვენებელმა 9,5 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წლის 5 თვეში კი 7,7 მილიონი ლარი.

ადგილობრივ ბაზარზე 16 კომერციულო ბანკი ოპერირებს.

## თამაზ წივწივაძე გარდაიცვალა



გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი თამაზ წივწივაძე გარდაიცვალა.

ამის შესახებ ფეისბუქში რობერტ ნადარაიამ დაწერა:

„..ხანგრძლივი ავადმყოფობის შედეგად, 76 წლის ასაკში, მწერალი, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი – თამაზ წივწივაძე გარდაიცვალა.

1970 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი.

1975 წლიდან იყო ჟურნალ „ცისკრის“ დამატების – „ნობათის“ რედაქტორი; 1978 წლიდან ამავე ჟურნალის პროზის განყოფილების გამგე; 1982 წლიდან ალმანახ „საუნჯის“ კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილების გამგე; 1982 წლიდან გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორია.

1997 წლიდან – საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული შემოქმედებითი კავშირი – 2001 წლიდან).

1969 წლიდან დაიწყო ლიტერატურული მოღვაწეობა. კონიუნქტურული, მხატვრულად მდარე ლიტერატურისადმი შეურიგებელმა, იუმორითა და სარკაზმითაც გამძაფრებულმა წერილებმა მას თავიდანვე მკითხველის აღიარება მოუტანა; მისი წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ლიტერატურული პრესის ფურცლებზე; მან პოლიტიკურ სატირას დიდი მნიშვნელობა შესძინა; იგი თანამედროვე ქართულ მწერლობაში ამ ჟანრის გამორჩეული წარმომადგენელი იყო.

მისი კრიტიკული წერილების კრებულებიდან აღსანიშნავია „მართალს ვიტყვი“ (1980), „ფრთხილად, წინ მკითხველია“ (1986), „ლოზუნგების ქვეყანა“ (1991), „ერთ საშუალებას კიდევ ვცდი“ (1991).“

## ვანო ზოდელავა ისევ უგონო მდგომარეობაშია

მას 2 თვეში კლინიკიდან სახლში გადაიყვანენ



თბილისის ყოფილი მერი ვანო ზოდელავა ერთი წელია, უგონო მდგომარეობაშია. 2017 წლის 21 ივლისს, გვიან ღამით ის მძიმე ავარიაში მოყვა.

ზოდელავა აზერბაიჯანიდან საქართველოში ტაქსით მოემგზავრებოდა, როდესაც ქვემო ფონიჭალაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ერთმანეთს სამი ავტომობილი – „ოპელის“, „მერსედესისა“ და „ჰონდას“ მარკის მანქანები შეეჯახა.

ადგილზე გარდაიცვალა 35 წლამდე მამაკაცი, რომელიც „ოპელის“ მარკის ავტომობილს მართავდა.

ავარიის შემდეგ ზოდელავა „ნიუ ჰოსპიტალში“ მძიმე მდგომარეობაში შეიყვანეს და მას ტრეპანაცია (თავის ქალის გაკვეთის ოპერაცია) ჩაუტარდა.

დედაქალაქის ყოფილი მერი უმძიმესი ავარიის შემდეგ ამ დრომდე უგონო მდგომარეობაშია. მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ამბები ჯის ზოდელავას ბავშვობის მეგობარი თემო ქურხული ესაუბრა.

– 22 ივლისს გახდება ერთი წელი, რაც ვანო ზოდელავა ავარიაში მოხვდა და უგონო მდგომარეობაშია. 8 თვე აპარატზე იყო შეერთებული, ახლა ავლაბარში წევს ერთ-ერთ კლინიკაში და ორ თვეში სახლში გადავიყვანთ ალბათ.

***– რას ამბობენ ექიმები?***

– ვანო ამ დრომდე უგონო მდგომარეობაშია, ექიმები ვერაფერს ამბობენ, ყოფილა შემთხვევები, როცა ასეთი დროს ადამიანები გონს მოდიან, სრულად ან ნაწილობრივ, ყველაფერი ღმერთზეა დამოკიდებული.

***– გავრცელდა ინფორმაცია, რომ მკურნალობა დიდ ხარჯებს უკავშირდება და ფინანსურად გაუჭირდა მის ოჯახს.***

– ამდენი ხანი კლინიკაში ყოფნა, ბუნებრივია, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ვანოს ბევრი ფული მანამდეც არ ჰქონია. ვისაც როგორ შეგვიძლია, მის მეგობრებს, ისე ვეხმარებით მას. დანარჩენი ღმერთზეა დამოკიდებული.

ვანო ზოდელავას თბილისის მერის პოსტი 1998-2004 წლებში ეკავა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგა ბუკია: „კახი კახიშვილს ახლაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება“

## „ის არასამთავრობოები, რომლებიც მთავარი პროკურორის შერჩევა-დამტკიცების მოქმედ წესს აპროტესტებენ, პასუხს არაფერზე აგებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას.**

***– „ქართული ოცნებისადმი“ ლოიალურად განწყობილი საზოგადოება მიიჩნევს, რომ წარმატებულ ყოფილ მინისტრს, კახა კახიშვილს, უფრო მაღალი თანამდებობა ეკუთვნოდა..***

– კახი კახიშვილი წარმატებული მინისტრი იყო, მაგრამ მას ახლაც დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება. მთავრობის ადმინისტრაციის, ასევე მთავრობაში დაწყებული რეფორმების კოორდინაცია სერიოზული საქმეა. პრემიერმა რეფორმების კოორდინაციის პატივი კახიშვილს დასდო. მას წარმატებული რეფორმები აქვს გატარებული და ამ თვალსაზრისით მისი გამოცდილება და პროფესიონალიზმი გამოსაყენებელია.



ის, ვინც ფიქრობს, რომ კახიშვილს არ აფასებენ, არასწორად უდგება საკითხებს.

***– ისევ სადავოა მთავარი პროკურორის თემა. საპროკურორო საბჭომ კანდიდატურა უკვე წარმოადგინა, მაგრამ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც მოქმედი წესი არ მოსწონთ, ფარ-ხმალს არ ყრიან. მათი აზრით, საბოლოო დამტკიცებამდე პროცედურის შეჩერება შესაძლებელია..***

– ის არასამთავრობოები, რომლებიც მთავარი პროკურორის შერჩევა-დამტკიცების მოქმედ წესს აპროტესტებენ, პასუხს არაფერზე აგებენ. სამაგიეროდ, ხელისუფლებაა ყველაფერზე პასუხისმგებელი. ადრე გენერალურ პროკურორს ერთი კაცი ნიშნავდა. „ქართულმა ოცნებამ“ შემოიღო ნორმა, რომლითაც მთავარმა პროკურორმა ბევრი მახვილი თვალი უნდა გაიაროს, ვიდრე პარლამენტი მის ბედს გადაწყვეტს. ეს წესი მოიწონა ვენეციის კომისიამ. მისი შეფასებით, ეს საგრძნობლად წინგადადგმული ნაბიჯია.

***– საზოგადოების ნაწილი ასე არ ფიქრობს..***

– ეს არასამთავრობო სექტორის ნაწილია, რომელიც ხშირად სცილდება თავის ფუნქციებს და ისე იქცევა, როგორც პოლიტიკური პარტია. გაიძახიან, დამოუკიდებლები, ობიექტურები ვართო, მაგრამ რეალურად მხარედ წარმოგვიდგებიან. თუ პოლიტიკაში ყოფნა უნდათ, გადაკეთდნენ პოლიტიკურ პარტიებად! ვინ დაუშალათ? პროკურორის კანდიდატურა ღიად და გამჭვირვალედ შეირჩა.

***– პროცესის ღიაობასა და გამჭვირვალობაზე ყოფილ კანდიდატს, შალვა შავგულიძესაც აქვს პრეტენზია. იგი მოითხოვდა სხდომის გახსნას..***

– როგორც გითხარით, ეს წესი ვენეციის კომისიასაც მოსწონს. არ ვიცი, ამისთანა რა უნდა ეთქვა შალვა შავგულიძეს საპროკურორო საბჭოს სხდომაზე, რასაც ღია ეთერებში ვერ იტყოდა. იგი პოლიტიკური პარტიის ლიდერია და ეს მისი მხრიდან პოლიტიკური ჟესტი იყო. ამისთანა რამ პოლიტიკოსისაგან გასაკვირი არ არის. ამის გამო მას კრიტიკა არ ეკუთვნის. გაოცებას იწვევს სამოქალაქო სექტორი, რომელიც ოფიციალურად პოლიტიკაში არ არის, მაგრამ ისე იქცევა, როგორც ოპოზიციური პარტია.



***– კიდევ ერთ თემას შევეხოთ. ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ გაერთიანდნენ და ერთმანეთზე თავდასხმები შეწყვიტეს..***

– არასდროს მგონებია, რომ ნაციონალური მოძრაობა მართლა დაიშალა და ერთმანეთს გადაეკიდა. ნაციონალური მოძრაობისა და მისგან გამოყოფილი ჯგუფების გზები ყოველთვის ერთად გადიოდა. მათი დანაწევრებაც ტაქტიკა იყო და შეერთებაც ტაქტიკაა. რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ თუ სხვა სახელს დაირქმევს, აღარ მოეთხოვება პასუხი ჩადენილ სისტემურ თუ კონკრეტულ დანაშაულზე. ნაციონალები დაშლილებიც რომ იყვნენ, მომავალში პარლამენტში უმრავლესობას ერთად შექმნიან. ეს თუ მოხდა, აღორძინდება ის, რასაც ნაციონალური მოძრაობა 2012 წლამდე აკეთებდა.

***– რატომ გგონიათ, რომ ეს ასე იქნება?***

– ამას ფაქტები ადასტურებს. ყველანი ვადევნებთ თვალს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის მუშაობას. ამ კომისიაში უმრავლესობა ევროპული საქართველოსია. ხომ დავაკვირდით, რა მოიმოქმედა ამ ოპოზიციამ, როგორც კი ძალაუფლება ჩაიგდო ხელში!

***– „ოცნებას“ რომ სიტყვას არ აძლევენ, ეს გაქვთ მხედველობაში?***

– შეხედეთ, რა აგრესიას ამჟღავნებენ, როგორი ტონალობით საუბრობენ. გადადიან მუქარასა და დაშინებაზე. მაგათ რომ მართვის სადავეები ჰქონდეთ, ძველ მეთოდებს მიუბრუნდებოდნენ. სულ წარსულზე არ უნდა ვიფიქროთ, წინ უნდა ვიაროთ, მაგრამ ძველი დანაშაულებრივი მეთოდების აღდგენა დაუშვებელია! ნაც-მოძრაობას და მის იდეოლოგიურ ძმებს ამის უფლება არ უნდა მივცეთ.

***– პარლამენტის უმრავლესობაში ამ შეფასებას ყველა არ დაეთანხმება. საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება სწორედ იმის გამოა, რომ „ოცნება“ შეუხმატკბილდა და გაურიგდა ევროპულ საქართველოს.***

– შეხმატკბილებასა და გარიგებაზე ვერაფერს მოგახსენებთ. ეგ კი ვიცი, რომ ოპონენტებმა არ უნდა იჩხუბონ. ჩვენ, „კონსერვატორები“, რასაც ადრე ვფიქრობდით ნაციონალებზე, ახლაც იმ აზრისა ვართ. 2012 წელს ჩამოყალიბებული გვქონდა ჩვენი შეხედულებები და ამოცანები და მათთვის არ გვიღალატია.

# ბახტაძემ წულუკიანს და სერგეენკოს ძვრა ვერ უყო

შორენა მარსაგიშვილი

პრემიერმა მამუკა ბახტაძემ დანაპირები შეასრულა და გუშინ, 12 ივლისს, ალიონზე ახალი მთავრობა წარადგინა.

მთავრობაში ყველაზე წარმატებული მინისტრ კახა კახიშვილისთვის ადგილი არ აღმოჩნდა. სამაგიეროდ მთავრობაში დატოვეს თეა წულუკიანი, ვის გადადგომასაც ლამის მთელი საქართველო ითხოვდა.

როგორც ამბობენ, მისი გაშვება თავად ბახტაძესაც სურდა, მაგრამ მას ამის ნება ივანიშვილმა არ მისცა. ივანიშვილის მოთხოვნით დატოვა პრემიერმა მთავრობაში სერგეენკო.

ყველაზე წარმატებულ მინისტრ კახა კახიშვილს მთავრობის ადმინისტრაცია ჩააბარეს, ექსპერტები ფიქრობენ, რომ კახიშვილის გარეშე სასჯელაღსრულების სისტემაში ვითარება გაუარესდება.

ეს უწყება ახლა იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ პატიმრებზე წულუკიანმა უნდა იზრუნოს.

განახლებულ მთავრობაში, რომელიც მამუკა ბახტაძემ, როგორც მცირე მთავრობა, ისე გაგვაცნო, სამი ახალი მინისტრია. განათლების და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი იქნება, ფინანსთა მინისტრი – ვანო მაჭავარიანი, ეკონომიკის სამინისტროს კი კარდეოლოგი გიორგი ქობულია უხელმძღვანელებს.

მინისტრთა კაბინეტში ასევე ვიხილავთ: რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ მაია ცქიტიშვილს. იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილს; საგარეო საქმეთა მინისტრ დავით ზალკალიანს. თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიას, შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილ-



თა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს კვლავ ქეთევან ციხელაშვილი ჩაუდგება სათავეში.

ბახტაძის წარმოდგენილი მთავრობის შემადგენლობით „ოცნება“ აღფრთოვანებულია. ოპოზიცია კი დამამძიმებელ პროგნოზებს აკეთებს.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერის დავით ბაქრაძის თქმით,

ამ გუნდს არ გააჩნია შესაძლებლობა, რომ გადაწყვიტოს ქვეყანაში არსებული მძიმე პრობლემები.

ბაქრაძეს დიდი მოლოდინი არც ახალი სახეებისგან აქვს. მათზე ამბობს, რომ ისინი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობ ფიგურებს წარმოადგენენ და მათ პოლიტიკური გამოცდილება არ გააჩნიათ.

– მინისტრთა კაბინეტში ერთი მხრივ წარმოდგენილია ძველი სახეები, რომელთა ნახვაც საზოგადოებას უკვე აღარ უნდა და, მაგალითად, ქალბატონი თეა წულუკიანი არა მხოლოდ დარჩა მინისტრად, არამედ დამატებითი სამინისტროც შემოიერთა და გაძლიერდა. და მეორე მხრივ, არის ახალი სახეები, რომლებიც წარმოადგენენ სრულიად უცნობ ფიგურებს, რომელთა ხედვის შესახებაც საზოგადოებამ არაფერი იცის და არ გააჩნიათ არანაირი გამოცდილება და პოლიტიკური წონა. ამიტომ, ასეთი ეკლექტური შემადგენლობით, ძველებური მიდგომით, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად არის, რა თქმა უნდა, ამ გუნდს არ გააჩნია არანაირი შესაძლებლობა, რომ გადაწყვიტოს ქვეყანაში მდგომი ძალიან მძიმე პრობლემები და გააუმჯობესოს ჩვენი მოსახლეობის ცხოვრება, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მთავრობას გამოცდილებას უწუნებს „ევროპული საქართველოს“ კიდევ ერთი ლიდერი სერგო რატიანი.

– პრემიერის წარმოდგენილ კანდიდატურებში ჩვენ ვერ ვხედავთ პოლიტიკურ სახეებს, პოლიტიკური წონის მქონე ფიგურებს. ეს გარკვეულწილად, ტექნიკური მთავრობის მაგვარი რაღაც არის. ჩვენ ვერ ვხედავთ პერსპექტივას, რომ მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა და ძალა, გაატარონ რეფორმები, რომელიც დღეს ქვეყანას სჭირდება, – აღნიშნა რატიანმა.





სამაგიეროდ საპარლამენტო უმრავლესობა მთავრობის ახალ შემადგენლობას სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

როგორც ინტერპრესნიუსს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კახიანმა განუცხადა, ბახტაძის მიერ წარმოდგენილი მინისტრთა კაბინეტი კომპეტენტური და შესაბამისი დარგის სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული.

– პრემიერის მიერ წარმოდგენილი გუნდი არის ძალიან კომპეტენტური და შესაბამისი დარგის სპეციალისტებით დაკომპლექტებული. ბუნებრივია, ჩემი და საპარლამენტო უმრავლესობის ნდობა განახლებულ გუნდს აქვს, – აღნიშნა გიორგი კახიანმა.

# აკაკი ცომაია: „ბახტაძე კვირიკაშვილზე უკეთესი პრემიერი ვერ იქნება“

მთლიანობაში მაქვს განცდა, რომ ის ვერ იქნება კვირიკაშვილზე უკეთესი პრემიერი უკეთესი მთავრობით, – ასე აფასებს მამუკა ბახტაძის პრემიერმინისტრობას ეკონომისტი აკაკი ცომაია.

ეკონომისტი მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებსა და ბახტაძის მიერ გატარებულ რეფორმებს სოციალურ ქსელში გამოეხმაურა და ყურადღება გაამახვილა იმ ხუთ მიზეზზე, თუ რატომ არ არის მამუკა ბახტაძე კარგი პრემიერ-მინისტრი. მიზეზები შემდეგია: ამბობს, რომ საგადასახადო წნეხი უნდა შემცირდეს და მეორე მხრივ, შემოაქვს და ცდილობს უფრო მეტი რეგულაციების შემოღებას;

მიაჩნია, რომ თუ მცირე და საშუალო ბიზნესი პრივილეგირებულ საგადასახადო რეჟიმში მოექცევა, გვეშველება; ავითარებს სიმპათიებს პროტექციონიზმის მიმართ;

სჯერა სტარტაპების სახელმწიფო მხარდაჭერის;

მიაჩნია, რომ უმაღლეს განათლებაში მეტი სახელმწიფო რესურსის დახარჯვით განათლების დონეს გაზრდის.

– საერთოდ არაფერს საუბრობს და, როგორც ჩანს, ვერ ახდენს გავლენას ყველაზე მთავარზე, რაც წარმოადგენს ეკონომიკის მთავარ მუხრუჭს. ეს არის: სამართალდამცავი სისტემა, უსაფრთხოება, მართლმსაჯულება, – წერს ცომაია.

**კომერსანტი**

# რამაზ საყვარელიძე: „ბატიაშვილი როცა ჟურნალისტი იყო, მაშინ პრეზიდენტის პრესმდივანი ვიყავი“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ახალ მინისტრებზე საუბრობს.

***– ბატონო რამაზ, დეპუტატი სერგო რატიანი აცხადებს, რომ წარმოდგენილ ახალ კაბინეტში პოლიტიკური წონის მქონე არც ერთი ფიგურა არ არის, ეს უფრო ტექნიკური მთავრობის მსგავსია. თქვენ რას იტყვით?***

– ისეთი პოლიტიკური წონის მქონე ფიგურა, როგორიც თავის დროზე ეკონომიკის მინისტრი ქობალია იყო, სწორია რატიანი, ახლა არ არის. ადამიანი, რომელიც წარმოადგენს იმ ხელისუფლებას, სადაც არათუ პოლიტიკური, საერთოდ გაუგებარია, რა ნიშნით ხდებოდა ადამიანების მინისტრებად შერჩევა, მისი ასეთი კრიტიკა გულწრფელობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს. ეს უფრო კრიტიკა კრიტიკისთვის მგონია.

***– ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომ პრემიერ ბახტაძეს მხოლოდ ეკონომიკური გუნდი ანდეს. წინა ხელისუფლების დროს პრემიერ გილაურის მთავრობის სხდომებს ძალოვანი მინისტრები არც კი ესწრებოდნენ. რაღაც პარალელები ხომ არ იკითხება?***

– შეიძლება იკითხებოდეს პარალელები. როგორც წესი, ეკონომიკური ბლოკია მნიშვნელოვანი, დანარჩენები მასზე იგება. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც პრემიერი სწორედ ეკონომიკურ ბლოკს განაგებს. ის, რომ ბახტაძისთვის ეკონომიკა მნიშვნელოვანია, სულაც არ არის გასაკვირი, მით უფრო ის ეკონომიკური მიმართულებიდან მოდის და მისი პირველი განცხადებები სწორედ ეკონომიკურ მიმართულებას ეხებოდა, რომ ამ მხრივ მეტი უნდა დაეტყოს ქვეყანას.

მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს პირველი ნაბიჯები საკადრო მიმართულებით და კიდევ გაგრძელდეს. ისეთი შთაბეჭდილება არ რჩება, რომ მთლიანობაშია გააზრებული მთავრობის საკადრო სურათი.

***– ყველაზე მეტი კითხვა განათლების სამინისტროს მიმართულებით არის, რომელსაც ახლა კულტურა და სპორტი დაემატა. იცნობთ ბატიაშვილს, რა მოლოდინები გაქვთ?***

– ბატიაშვილი თავის დროზე ჟურნალისტი იყო, „ალიონში“ მუშაობდა. მე მაშინ პრეზიდენტის პრესმდივანი გახლდით. ასე რომ, ჩვენ შევხვედრილვართ ერთმანეთს. საკმაოდ ენერგიული კაცი ჩანს. დამოუკიდებელი, კერძო უმაღლესი სკოლა დააფუძნა. ეს ადვილი საქმე არ არის. როგორი მინისტრი იქნება, ვერ გეტყვით, მაგრამ პირველი ნაბიჯებიდან უკვე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნები, თუ რას შეიძლება ველოდოთ მისი მხრიდან. ვისურვებდი, რომ განათლების სამინისტროს რევოლუციური ალტკინება არ ჰქონოდეს და პროცესის მიმართ ხანგრძლივ დროზე გათვლილი სტრატეგია ჰქონდეს.

***– ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოლიტიკური პროცესის არასტაბილურობის ფაქტორი შეიძლება წულუკიანის ახალ მინისტრთა კაბინეტში დარჩენა აღმოჩნდეს. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– სიმართლე გითხრათ, საერთოდ არ მესმის წულუკიანოცენტრიზმი მიმდინარე პროცესში. მამუკა არეშიძემ თქვა, რომ ის დაესწრო სტრასბურის ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში პროცესს, სადაც ასეთი უსუსური რუსული მხარე ჯერ არ უნახავს. ამ პროცესში ხომ ჰქონდა გარკვეული როლი წულუკიანს?! ამიტომ მხოლოდ შავ-თეთრ ფერებში წულუკიანის დანახვა არ მესმის, უფრო სწორად, რაღაც პოლიტიკის ნაწილი მგონია.

განა არ მესმის სასამართლო სისტემის რეფორმირების პროცესში ის ხარვეზები, რომლებიც გვაქვს, მაგრამ მათზე პასუხისმგებლობა მხოლოდ წულუკიანზე არ მოდის. მე ამ პასუხისმგებლობას მთელ ხელისუფლებაზე გადავანაწილებდი.

***– კახი კახიშვილისთვის მთავრობის ადმინისტრაციის ჩაბარება რა გზავნილია თქვენთვის?***

– როდესაც გითხარით, რომ მე არ გამოვრიცხავ, რომ ეს არის პრემიერის პირველი ნაბიჯები საკადრო მიმართულებით გადადგმული, მხედველობაში მქონდა, რომ კახიშვილი დიდი ხნით არ იქნება კანცელარიის უფროსი. ეს უფრო შუალედური თანამდებობაა კახიშვილისთვის. რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოში იქმნება პარადოქსული ვითარება, როდესაც ხელისუფლების პირველი პირები ამბობენ – ყველაზე წარმატებული მინისტრი იყო, მაგრამ ვაქვეითებთ.

დროთა განმავლობაში ალბათ ეცდებიან, ეს წინააღმდეგობრივი სურათი გამოასწორონ. თუ არადა, ნებისმიერი მინისტრი ამ ლოგიკით იფიქრებს, რომ საქმის კარგად გაკეთებას აზრი არ აქვს.

***– თქვენ არ გამორიცხავთ, რომ კახიშვილი კვლავ ვიხილოთ მინისტრის პოსტზე?***

– დიახ. დროებით არის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და ის გადაინაცვლებს მინისტრის პოსტზე, რომელიც ახლა ვაკანტური არ არის.

# პეტრე მამრაძე: „გარემოს დაცვის სამინისტროს სოფლის მეურნეობაში შეყვანა დანაშაულის ტოლფასია“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი **პეტრე მამრაძე** „ახალ თაობას“ მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებზე ესაუბრა.

***– ბატონო პეტრე, მოგეხსენებათ, ახალმა პრემიერ-მინისტრმა დანიშვნისთანავე მცირე მთავრობის იდეა წარმოადგინა. ახლა კი მინისტრობის კანდიდატები წარმოადგინა. როგორ აფასებთ იმ მინისტრობის კანდიდატებს, რომლებიც მცირე მთავრობის სტრუქტურის მიხედვით შეიცვალნენ?***

– მე მრავალი წელია ახლოს ვიცნობ ბატონ მიხეილ ბატიაშვილს. უაღრესად დადებითად ვაფასებ მას, როგორ პიროვნებას და მოღვაწეს, მის ნოვატორულ მასშტაბურ აზროვნებას, საქმიან თვისებებს. კოლეგებთან ერთად (ბრიტანელებთან ერთად) შექმნილი მისი უმაღლესი სასწავლებელი მართლაც სანიმუშოა.

მე პირადად მაქვს დიდი იმედი, რომ თუ იქნება შესაბამისი ატმოსფერო, მთავრობის მოღვაწეობაში ბატონი მიხეილი თავის სიტყვას იტყვის. ასე რომ, მიხეილ ბატიაშვილი სერიოზული, მასშტაბური მოღვაწეა.

***– ძალიან მიხარია, თუ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის თანამდებობაზე ასეთი კარგი კანდიდატურაა წარმოდგენილი.***

– დიახ, მაგრამ შემდეგ ვისაუბრებ ატმოსფეროზე. შევხვედრივარ ბატონ გიორგი ქობულიას. ის არის ცნობილი ოჯახის შვილი თბილისში, რომელიც მრავალი წელია მოქმედებს, როგორც ერთ-ერთი უდიდესი საკონსალტინგო ფირმის თვალსაჩინო მენეჯერი, სერიოზული ადამიანი და სპეციალისტია. არ ვიცნობ ვანო მაჭავარიანს.

***– კახი კახიშვილის მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად დანიშვნას როგორ აფასებთ?***

– კახი კახიშვილი შესანიშნავი იქნება მთავრობის ადმინისტრაციის უფროსად. თუმცა, ის გარდა ამისა, პროფესიონალი პროკურორია.

***– შეიძლება მომავალ იუსტიციის მინისტრად ამზადებენ.***

– ეგ არ ვიცი, მაგრამ კახი კახიშვილი რომ პროფესიონალი ადამიანია, ამას ჩვენი პენიტენციური სისტემის მწვავე კრიტიკოსებიც აღიარებენ. მისი მინისტრობის დროს პენიტენციურ სისტემაში ბევრი კარგი რამ კეთდებოდა. კრიტიკის ნაცვლად მეუბნებოდნენ, კარგი რა კეთდებოდა.

დადებითი ისაა, მინისტრობის კანდიდატების ძებნა ქოცების ცნობად სახეებში კი არ დაიწყეს, არამედ პროფესიონალები, ტექნოკრატები შეარჩიეს.

***– ევროქოცების წარმომადგენელმა განაცხადა, პრემიერმა ტექნიკური მთავრობა წარმოადგინა. რადგან ისინი პოლიტიკური ლიდერები არ არიან, ამიტომ რეფორმებს პერსპექტივა არ აქვსო.***

– მათ უნდა შევახსენოთ ის პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც იყვნენ ნაციონალური მოძრაობის დროს ვანო მერაბიშვილი და ზურაბ ადეიშვილი. ასევე ნაცმოძრაობის ამ ლიდერების მიერ შექმნილი ატმოსფერო, როდესაც მერაბიშვილი საქართველოს პრემიერ გილაურთან დარეკვას არ კი კადრულობდა და პრემიერს მერაბიშვილის რომელიმე მოადგილე, ან სხვა რიგითი თანამშრომელი ურეკავდა და რაღაცებს ავალებდა მიშას და მათი სახელით.

ასეთივე დამოკიდებულება ჰქონდათ მერაბიშვილსა და ადეიშვილს პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის მიმართაც.

***– ანუ შს მინისტრი მერაბიშვილი მართავდა პრემიერ-მინისტრს.***

– ეს ყველამ იცოდა. ისინი, რა თქმა უნდა, პრემიერს ავალებდნენ სააკაშვილის სახელით, თვითშემოქმედებას არ მიმართავდა არც მერაბიშვილი და არც – ადეიშვილი, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ეს ტროიკა არის სააკაშვილთან ერთად და თუ, ვთქვათ, ზღულაძე ე.წ. პრემიერს დაურეკავდა. ასეთი ატმოსფეროა მათთვის ჩვეული, ასე რომ, მე ნაცების განცხადებებზე კომენტარს არ გავაკეთებ, რა არის პოლიტიკური ფიგურა და რა არის რეფორმა, როგორც მათ ესმით.



***– ნაცების რეფორმები?***

– დიახ, ნაცების რეფორმები დამყარებული იყო სიძულვილზე, შიშსა და ტყუილზე. ნაცმოძრაობისთვის სიძულვილიც, შიშიც და ტყუილიც მისაღები იყო.

მეორე მხრივ, როგორ მოხდა, რომ ცოტა ხნის წინ, გარემოს დაცვის სამინისტრო შეიყვანეს სოფლის მეურნეობაში, რაც არის ყოვლად არასწორი და დანაშაულის ტოლფასი.

***– რატომ არის დანაშაულის ტოლფასი?***

– სახელმწიფოში გარემოს დაცვის სამინისტრო იმისთვის არსებობს, რომ დამოუკიდებელი, თუნდაც მწვავე შეფასება და ანგარიში წარმოადგინოს სხვა სამინისტროების მიერ დასახულ გეგმებსა თუ ქმედებაზე, თუ ისინი ვნებს გარემოს.

შესაბამისად, სოფლის მეურნეობა იქნება, ეკონომიკის სამინისტრო, ენერგეტიკის ყოფილი სამინისტრო (რომელიც ეკონომიკის სამინისტროს შეუერთდა) თუ სხვა, როცა ამა თუ იმ სფეროში რაღაც უნდა დაიშალოს, რაღაც უნდა გაკეთდეს, ჰესი უნდა აშენდეს თუ რაღაც უნდა მოხდეს, საჭიროა გარემოს დაცვის სამინისტროს დამოუკიდებელი, ზოგჯერ მწვავე პროტესტი.

შემდეგ ამ დროს მთავრობის სხდომაზე წყდება, ულირს თუ არა ქვეყანას თუნდაც თავისი გარემოს დაზარალების ფასად, რაღაც გააკეთოს. ეს პროცესი მოსპობილია ჩვენს ქვეყანაში, რადგან როცა ქოცები მოვიდნენ ხელისუფლებაში, მცირე შენიშვნებიც ვერ აიტანეს.

სამაგიეროდ, კონფლიქტების მოგვარების სახელმწიფო მინისტრის აპარატი არის, რომელიც ჩვენს აფხაზებსა და ჩვენს ოსებს აღიზიანებთ და ხელს უშლის ნდობის აღდგენას. შესაბამისად, მეგობრობისა და სიყვარულის აღდგენას. ეს არ ეხება მინისტრს. მინისტრი შეიძლება შესანიშნავი პიროვნება იყოს.

უცხოელებისაგან ციხელაშვილზე კარგის გარდა არაფერი მსმენია, მაგრამ როგორც კახიშვილმა შესანიშნავად იცოდა, რომ სასჯელაღსრულების სამინისტრო არის აბსურდი და თავიდან უთქვამს კიდევაც. შერიგებისა და თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატზეც იგივე შეიძლება ითქვას.

ზურაბ აბაშიძის შემთხვევაში ხომ არავინ უქმნის მას რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების სამინისტროს. ასეთი სამინისტრო რომ შეიქმნას, წარმოიდგინეთ, რამხელა სკანდალი, ეფექტები და შედეგები იქნება.

***– გარემოს დაცვის სამინისტრო უნდა აღდგენილიყო?***

– გარემოს დაცვის სამინისტრო უსათუოდ უნდა აღდგენილიყო.

***– ეგ დროც დადგება და გარემოს დაცვის სამინისტრო აღდგება.***

– როცა არის ძალიან გვიან, მაშინ აღარ მუშაობს ანდაზა: „სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“. თუ სახელმწიფომ სამშენებლო საქმეში რაღაც დროულად არ გააკეთე, ზარალი იმდენად დიდია, მერე ყველაფერი გვიან იქნება. დღეს ბევრი ამბობს, რომ გარემოს დაცვის მხრივ საქართველოს ბევრ რეგიონში ისე კატასტროფულად არის დაზიანებული ფერდობები და ტყეები გაჩეხილი, რომ მეწყრებს ველარაფერი აჩერებს. ეს პროცესი გრძელდება. როდესაც დასაცავი აღარაფერი იქნება, მაშინ გარემოს დაცვის სამინისტროს აღდგენას ფასი აღარ ექნება. ტყეების აღდგენას ათეული წლები სჭირდება.

დემოკრატიულ ქვეყანაში მინისტრთა კაბინეტი თავისუფლად მოქმედებს და ყველა სამინისტრო თავისუფლად, მხოლოდ და მხოლოდ საქმის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, ამზადებს თავის პროექტებს, დასკვნებს, კანონპროექტებს, შემდეგ მთავრობის სხდომაზე არის სრულიად თავისუფალი შეუზღუდავი დისკუსიები, დისპუტი, რა სჯობს, როგორ სჯობს, შემდეგ მთავრობის სხდომაზე რეალურად კენჭი ეყრება და იქაც ყველა თავისუფლად მოქმედებს, ზოგი ხმას აძლევს, ზოგი საწინააღმდეგოდ აძლევს ხმას და პროექტი ან გადის, ან ჩავარდება, მაშინ არის ძალიან კარგი შედეგი.

***– ჩვენთან ასე როდესმე ხდებოდა?***

– ასე ჩვენთან არასოდეს არ ხდებოდა. სააკაშვილის დროს გითხარით, რაც ხდებოდა – მერაბიშვილი პრემიერთან დარეკვას არც კი კადრულობდა. პრემიერს ურეკავდნენ მერაბიშვილის მოადგილეები. მერაბიშვილის მოადგილის დარეკვა გილაურისთვის კანონი იყო. ერთი გაებედა და არ გაეკეთებინა. ამიტომ მისი პრემიერობა ფიქცია იყო.

ახლაც, რაც მოვიდნენ ქოცები (მინისტრთა კაბინეტის მუშაობა მე კარგად ვიცი), ძირითადად იყო ისე, როგორც უნდოდა უფროსობას. რა უნდა უფროსობას? რა მოსაზრებაა? თბილისის საკრებულოში რაღაც პროექტი იყო, რომელიც გარემოს დაცვას ეხებოდა. მერე გაირკვა, რომ რაღაც გასაკეთებელი იყო, მაგრამ არც კი წაუკითხავთ. გახსოვთ, სკანდალი იყო. ისეთი განწყობები, ნეტა ხაზეინს რა უნდა? ვნებს პროცესს და საქმეს. ამ დროს ხაზეინს ყოველთვის უნდა (ამ შემთხვევაში ივანიშვილს ვგულისხმობ) ყველაფერი კარგად იყოს, კარგად მუშაობდეს.

***– ატმოსფეროზე გინდოდათ საუბარი.***

– ღმერთმა ქნას, ატმოსფეროც ის შეიცვალოს, იყოს შემოქმედებითი, თავისუფალი ატმოსფერო, სადაც ყველა ადამიანი მაქსიმალურად გამოამჟღავნებს თავის უნარს, ნიჭს და შრომისუნარიანობას.

როცა სისტემა კარგად მუშაობს, ყველა ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად კარგი შედეგი აჩვენოს. როცა სისტემა უვარგისია, მაშინ ყველაზე ნიჭიერი ადამიანიც კი შედეგს ვერ იძლევა.

***– ანუ ტექნიკური მთავრობისაგან დადებით შედეგს მაინც უნდა ველოდოთ?***

– დიდი იმედები არ მაქვს, რადგან ვიცი პატრონაჟული მმართველობა რა არის. რამდენიმე მინისტრის გამოცვლით, რადიკალური ცვლილებები შეიძლება არ იყოს, მაგრამ იმედი მაქვს, ის უხეში შეცდომები აღარ იქნება დაშვებული, რომელი შეცდომების გამოც, ხან როგორი პროტესტი შეიქმნა, ხან როგორი საქართველოში. პირველ რიგში, თბილისში, როცა ამის არავითარი საფუძველი არ არსებობდა, გარდა იმისა, რომ ქოცებმა თვითონ დაუშვეს შეცდომები. შეცდომას მაინც არ დაუშვებენ. ამას ვისურვებდი.

***– ახალი მთავრობის მთავარი ამოცანა რა არის?***

– ახალი მთავრობის წინაშე მდგარი მთავარი ამოცანაა, მოსახლეობაში, ხალხში, საზოგადოებაში შეიცვალოს აზრი, რომ ქოცები მოსული არიან მხოლოდ იმისათვის, იხეირონ და თავისი ჯიბეები გაივსონ, თავისი ბიზნესი გააფართოონ, მილიონები იშოვონ ხალხის გაღატაკების ხარჯზე. ეს აზრი ხალხში ღრმად არის ჩანერგილი.

როცა ხალხს ეტყვი, ეკონომიკური ზრდა 6,5%-ია, მეორე მხრივ, ხალხი გაღატაკდა და გაუბედურდა საბანკო სისტემის გამოისობით, ისმის კითხვა, 6,5%-ით ეკონომიკის ზრდის შედეგი ვის ჯიბეში წავიდა? ამ საკითხში გარდატეხა უნდა შევიდეს.

– მინისტრობის კანდიდატების განცხადებები მოვისმინეთ, რომ შემოსავალი თანაბრად უნდა განაწილდეს, სოფლისა და რაიონების ეკონომიკური მდგომარეობა უნდა ამაღლდეს. თუ ამას განახორციელებენ, კარგი იქნება.

# „პატიმარმა მითხრა, რომ რუსებმა დოდო გუგეშაშვილის მკვლელობა შეუკვეთეს“

## გელა ნიკოლაიშვილი: „ეს ერთი კვირის ინფორმაციაა“

ნონა ცაბაძე

დოდო გუგეშაშვილი არ გამორიცხავს, რომ მისი ვაჟის მკვლელობის უკან რუსული სპეცსამსახურები იდგნენ. ახალ და საინტერესო დეტალებს ახმოვანებს მედიასთან მისი ადვოკატი **გელა ნიკოლაიშვილი**, რომელიც „ახალი თაობის“ კითხვებს პასუხობს.

***– ბატონო გელა, რა გაძლევთ ამ განცხადებების გაკეთების საფუძველს, რომ ამ ყველაფრის უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან და პირადად თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

– არც დოდო გუგეშაშვილი და არც მე არ ვაცხადებთ დაბეჯითებით, თუ ვინ იდგნენ ამის უკან. ეს ძიების საქმეა და ჩვენ ძიებას მაქსიმალურად ვეხმარებით. აქ ლაპარაკია ერთ-ერთ ვერსიაზე, რომ შესაძლოა ეს ყოფილიყო რუსული სპეცსამსახურების დაკვეთა.

***– რატომ გაჩნდა ეს ეჭვი?***

– ეს ეჭვი გაჩნდა უბრალოდ იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც მე მომაწოდა ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც ამტკიცებს, რომ შარშან, თურქეთში ყოფნის დროს, მას დაუკავშირდა მისი ნაცნობი, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე და შესთავაზა რამდენიმე ადამიანის მკვლელობა და ერთ-ერთი მათგანი, ვინც ეწერა ამ ხუთკაციან სიაში, იყო დოდო გუგეშაშვილი.

***– ამ ინფორმაციამ გააღრმავა თქვენი ეჭვები, რომ ამის უკან შესაძლოა რუსული სპეცსამსახურები დგანან?***

– ამან გამოიწვია ჩვენი არა მხოლოდ დაინტერესება და დაეჭვება, არამედ დიდი ალბათობით იმის დაშვება, რომ ეს შესაძლოა ყოფილიყო ინტერესი მართლაც რუსული სპეცსამსახურების. ეს მკვლელობა, ფაქტიურად ორი ადამიანის მკვლელობა, რადგან დოდო გუგეშაშვილი შემთხვევით გადარჩა, არ იყო გამოწვეული რაიმე სპონტანური ურთიერთშელაპარაკებით, ან წყობილებიდან გამოსვლით, ან აფექტის ნიადაგზე. ამას ეტყობოდა, რომ იყო წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა.

როდესაც მკვლელობა იგეგმება, ამას თავისი საფუძველი აქვს, თავისი მიზანი აქვს, თავისი დამკვეთი ჰყავს და აქედან გამომდინარე, ერთ-ერთ ვერსიად, ამ ინფორმაციის მოწოდების შემდეგ, ამ ვერსიას განვიხილავთ.

***– სამართალდამცავებს უკვე მიაწოდეთ ეს ინფორმაცია?***

**მას უბრალოდ უთხრეს, რომ ჩამოსული იყო რუსი გენერალი თურქეთში და ამ გენერალმა შეუკვეთა ეს მკვლელობები და ის თვითონვე დააფინანსებდა ყველაფერ ამას.**

– ეს ინფორმაცია გუშინ გავაჟღერეთ პირველად, სამართალდამცავებს ფაქტიურად მიეწოდათ. მათთან ამ თემაზე არ გვქონია შეხვედრა ერთი უბრალო მიზეზის გამო. ეს დაახლოებით ერთი კვირის ინფორმაციაა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და ეს ადამიანი, რომელიც ამ ინფორმაციის წყაროა და რომელსაც მე პირადად ვკითხე, იყო თუ არ იყო წინააღმდეგი მისი სახელიც გამეჟღერებინა, მან მთხოვა, რომ ცოტა ხნით დამეცადა მისი სახელის გამჟღავნებისგან, ვინაიდან ის თავად საკუთარი წყაროებით აზუსტებდა რაღაც დეტალებს და მოკლე ხანში თავადაც თანახმა იქნებოდა, რომ მიეცა ჩვენება ამასთან დაკავშირებით.



***– მის სიცოცხლესაც ხომ არ შეექმნება საფრთხე, რადგან ის ალაპარაკდა?***

– როდესაც საპატიმროშია ადამიანი, ის ასე თუ ისე დაცულია. ის იმიტომ კი არ იკავებს თავს, რომ თავად შეექმნება საფრთხე, მას რომ ამის შიში ჰქონოდა, საერთოდ არაფერს იტყოდა. ის აცხადებს, რომ როდესაც მკვლელობის შესახებ გაიგო, თქვა, რომ შეეძლო იმ ადამიანის გადარჩენა, ეს ინფორმაცია რომ დროზე შეეტყობინებინა.

***– თქვენ ახსენეთ ხუთკაციანი სია, ერთი იყო დოდო გუგეშაშვილი. ვინ არის დანარჩენი ოთხი, ან ცოცხლები არიან ისინი თუ მოკლა ვინმე?***

– ჩვენი წყარო გვეუბნება, რომ ამ ადამიანებს დაასახელებს, უბრალოდ, ყველა არ ახსოვს – ვისაც გავიხსენებ, მის გვარს აუცილებლად გეტყვითო.

***– ხომ შეიძლება ვიღაცის სიცოცხლე გადარჩეს ამით, თუ უკვე გვიანი არ არის?***

– რა თქმა უნდა. მე ვფიქრობ, ცოტა უნდა დავიცადოთ და ეს ადამიანი იტყვის ყველაფერს. როგორც თავად ამბობს, ციხის ხელმძღვანელობას მან მაშინვე შეატყობინა ეს ინფორმაცია, როგორც კი გაიგო ამ მკვლელობის ამბავი. მას სურვილი ჰქონდა, რომ ეს ყველაფერი გაცხადებულიყო.

***– ეს მკვლელობა პირადად მას შეუკვეთეს?***

– მას შეუკვეთეს, უფრო ზუსტად, შეეცადნენ, რომ მისთვის შეეკვეთათ. შემდეგ უთხრეს, რომ შენ თუ ვერა, მაშინ მოგვიძებნე ადამიანი, რომელიც ამას გააკეთებსო.

***– რა იყო მოტივი დოდო გუგეშაშვილის მკვლელობის, რატომ უნდა მოეკლათ იგი?***

– ამ დეტალებზე ის არ საუბრობს. არც ეცოდინება ასე დაწვრილებით. მას უბრალოდ უთხრეს, რომ ჩამოსული იყო რუსი გენერალი თურქეთში და ამ გენერალმა შეუკვეთა ეს მკვლელობები და ის თვითონვე დააფინანსებდა ყველაფერ ამას.

***– თქვენი წყარო რისთვის იხდის სასჯელს? მკვლელობისთვის?***

– ჯერ სასჯელს არ იხდის, ჯერ მიმდინარეობს სასამართლო და როცა დამთავრდება ეს სასამართლო, შორს არ არის ამ პროცესის დასრულება, მერე ალბათ უფრო ბევრი რამე გახდება ცხადი.

***– რა ედება ბრალად?***

– ამაზე საუბრისგან ჯერ თავს შევიკავებ.

***– დოდო გუგეშაშვილმა საზღვრის გადაკვეთასა და უკრაინაში ვიზიტზე გაამახვილა ყურადღება, რატომ? ამაში რა იყო მისთვის საეჭვო?***

– სწორედ მაგიტომ, რომ დოდო ამბობს, რომ გასულ საუკუნეში იყო ბოლოს რუსეთში და რატომ დააფიქსირეს, რომ მე თითქოს ორჯერ, 2015-ში და 2017-ში საზღვარი რუსეთიდან გადმოვკვეთეო. დოდო ვარაუდობს, რომ თუ ეს რუსეთის კვალია, ეს ხომ არ გაკეთდა კვალის დასაფარად, რომ რუსები რატომ მოკლავდნენ, თურმე რუსეთში დადიოდა ჩუმ-ჩუმადო.



***– ანუ გიმყარდებათ ეჭვები, რომ მისი ვაჟი შემთხვევით არის მოკლული და სამიზნე იყო დოდო გუგეშაშვილი?***

– კი, რა თქმა უნდა. ეს ეჭვი თავიდანვე იყო და მისი ვაჟი იქ რომ არ ყოფილიყო, არ შეეწირებოდა ამ ამბავს.

***– რამდენად გაქვთ იმედი, რომ საქმე დაიძვრება და ამ ახალი ინფორმაციების შედეგად ნათელი მოეფინება ყველაფერს?***

– იმედი მაქვს არა მალე გახსნის, მაგრამ ზოგადად საქმის გახსნის. ბევრი კვალია დარჩენილი, მართალია, კონკრეტულ პიროვნებაზე ჯერ არ არის გამოძიება გასული, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავთ.

# ზაზა ხატიაშვილი: „მე რომ პოლიტიკოსი ვიყო, გამიხარდებოდა წულუკიანის დატოვება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ადვოკატთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე, უფლებადამცველი **ზაზა ხატიაშვილი** პასუხობს.

***– ბატონო ზაზა, უკვე დასახელდა ახალი მინისტრთა კაბინეტი, ცნობილია, ვინ იქნება მთავარი პროკურორი. ძალოვანი მინისტრები არ შეცვლილა. განახლება მოხდა ეკონომიკურ გუნდში და შეიცვალა განათლების მინისტრი. როგორია თქვენი შეფასებები?***

– მთავარი პროკურორიც, იუსტიციის მინისტრიც, მთავრობის თავმჯდომარეც არის ბიძინა ივანიშვილი. ეს ადამიანი ჯერ დანიშნავს ფორმალურად მინისტრებს, მერე შემოსწყრება და უშვებს მათ. როცა უნდა დანიშნავს, როცა უნდა შეცვლის. მინისტრებსაც ხეებივით უყურებს და დაატარებს აქეთ-იქით. ეს ადამიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელი მმართველობის სტილით მართავს ამ ქვეყანას.

***– როგორია ეს სტილი?***

– მისი პირადი ექიმი მინისტრი უნდა იყოს, პირადი მცველიც – მინისტრი, პირადი ბანკირიც და ასე შემდეგ. ის, რაც ახლა ხდება, 21-ე საუკუნისთვის ყოვლად მიუღებელია. აქედან გამომდინარე, ვინ სად დაინიშნება, ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. საშინელი კოლაფსია ქვეყანაში.

***– თეა წულუკიანის მიმართ იყო დიდი პროტესტი, თუმცა მან შეინარჩუნა თანამდებობა. ამას რითი ხსნით?***

– თეა წულუკიანი არის იურიდიული საზოგადოების სირცხვილი! ან ეს ადამიანი ფლობს მართლაც დიდ კომპრომატებს, როგორც ეს ინფორმაციები ვრცელდება, ან ემზადებიან საპრეზიდენტო არჩევნების ისეთი გაყალბებისთვის, რომელიც ამ დრომდე არ მომხდარა. საარჩევნო დავებზე ერთ-ერთი გადამწყვეტი ფიგურა არის ქალბატონი თეა წულუკიანი. მე რომ პოლიტიკოსი ვიყო, გამიხარდებოდა წულუკიანის დატოვება, რადგან თუ ამ ხელისუფლების მოშორება უნდათ, ოპოზიცია ამ საქმისთვის თეა წულუკიანზე უკეთეს მინისტრს ვერც ინატრებს. ეს ქალბატონი რა საოცრებებსაც აკეთებდა, იგივეს გააგრძელებს.

***– ეკონომიკური გუნდი მთლიანად ახალი სახეებით დაკომპლექტდა. მათზე რას იტყვით?***

– ამ ეკონომიკური გუნდის მინისტრებიდან საერთოდ რომელიმეს ვინმე რამეს კითხავს?! წარმოდგენაც არა მაქვს, ეს ადამიანები რისთვის მიდიან იქ და რა უნდა გააკეთონ. რისთვის ინგრევენ საკუთარ კარიერას? ეკონომიკურ საკითხებს ერთპიროვნულად წყვეტს ივანიშვილი.

***– საზოგადოებას ძალიან სწყდება გული, რომ კახი კახიშვილს ვეღარ იხილავს მინისტრთა კაბინეტში.***



– ერთადერთი ნორმალური მინისტრი, ვინც ჰყავდა ივანიშვილს და ვის მიმართაც კითხვის ნიშნები იყო ნაკლები, ეს იყო კახი კახიშვილი. წულუკიანის და კახიშვილის უწყება გაერთიანდება და თეა წულუკიანსა და კახიშვილს შორის წულუკიანს რომ აირჩევ, ასე როგორ უნდა გეზიზღებოდეს შენი ქვეყანა, წარმოგიდგენიათ?!

ეტყობა, კახიშვილი არ არის მზად იმ სიბინძურეებისთვის, რომლებიც წულუკიანმა უნდა ჩაიდინოს.

***– გაჩნდა ასეთი ვერსიაც, რომ კახიშვილი საპრეზიდენტო კანდიდატი იქნება. ამაზე რას ფიქრობთ?***

– არ ვიცი. ბიძინა ივანიშვილი რომ იყოს პროგნოზირებადი ადამიანი, შეიძლება გამომეთქვა ვარაუდი, მაგრამ დილით რომ ადგება, მას თავში რა მოუვლის, მე რა ვიცი.

ყველაზე დიდი უბედურება, რასაც მე ვხედავ ამ ქვეყანაში, არის ის, რომ ქუჩური გარჩევები და სკოლებში ქუჩური მენტალიტეტი დაბრუნდა. სამი განათლების მინისტრი გაუშვეს ბოლო სამ წელში.

***– განათლების მინისტრიც ახალი გვყავს.***

– დიახ, ახლა მოდის მეოთხე და ვერც ერთმა განათლების მინისტრმა ვერ უზრუნველყო სკოლაში ანტინარკოტიკული და ანტიალკოჰოლური დისციპლინის სწავლება, ბავშვების ნორმალური აღზრდა.

ის, რაც ხორავას ქუჩაზე მოხდა, იყო ამ არასწორი მართვის გამოსახულება. სკოლებში, ქუჩაში, ავტობუსშიც კი მოზარდები დანით დადიან და როგორც კი შეეპასუხები, ეგრევე დანას დაგარტყამენ. ეს საქართველოში იყო დამთავრებული. ივანიშვილმა ქვეყანა ხომ დააქცია და არც ეს აკმარა ქვეყანას, შევარდნაძის ქუჩური მენტალიტეტი დააბრუნა საზოგადოებაში!

ეს არის ყველაზე დამღუპველი ჩვენი საზოგადოებისთვის. დღეს საზოგადოება ნელ-ნელა შოკიდან გამოდის და ხედავს, რომ მათ მიიღეს გაუმჯობესებული მიშა. ანუ მიშა კუბში.

***– სააკაშვილის დროს არ იყო ეს ქუჩური მენტალიტეტი?***

– არ იყო. მაშინ პროკურორები იყვნენ ქურდები, დაგირეკავდნენ და გეტყოდნენ, რომ ქონება სახელმწიფოსთვის უნდა გეჩუქებინა. ის ქურდი პროკურორები ივანიშვილმა სისტემაში დატოვა და ეს ქუჩური და ქურდული მენტალიტეტი ქვეყანაში ბრუნდება. ბავშვის გაშვება სკოლაში, გარეთ, უკვე ძალიან სახიფათო გახდა. შევარდნაძის ეპოქა დაბრუნდა საქართველოში. ქურდული მენტალიტეტი, ქუჩური გარჩევები, აღებ-მიცემობა, ქრთამი და ყველა უბედურება!

ივანიშვილი ქვეყნის მართვაში არის უგუნური ადამიანი. ვერც ვერავინ ეპასუხება, ვერავინ ვერაფერს უბედავს და მას ქვეყანა მიჰყავს კატასტროფისკენ. უბედურება ის არის, რომ ძალიან ბევრი ადამიანი დღეს ბუჩქებშია ჩამძვრალი და იქიდან აკვირდება პროცესებს. მხოლოდ პატარა ჯგუფი ვიღებთ ხმას ამ უსამართლობაზე.

ეს დიდი უბედურებაა ამ ქვეყნისთვის. დღეს ოპოზიციის დიდი ნაწილი ივანიშვილის თამაშს თამაშობს. თუ თეთრი და შავი ვერ გავარჩიეთ ერთმანეთისგან, მაშინ იქნება და იქნება ივანიშვილი.

# რეგულაციების გამკაცრებით ქვეყანა ავტოსასაფლაოდ არ უნდა გადაიქცეს



– ქვეყანაში ძველი მანქანების შემოდინება უნდა შეფერხდეს როგორც ეკოლოგიის, ასევე კომერციული თვალსაზრისით, – ასე ეხმაურება „კავკასიის ავტოიმპორტის“ დირექტორი გიორგი სურგულაძე მამუკა ბახტაძის განცხადებას დაბალი სტანდარტების იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით. მისი თქმით, ინიციატივა მნიშვნელოვანი და დროულია. სურგულაძეს 2006 წელზე ქვევით მანქანების ქვეყანაში შემოყვანა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

– ჩვენმა მეზობლებმა ყველამ მიიღო „ევრო 5“ -ის კანონი, საქართველოში ეს სტანდარტი არ არის, რაც რეექსპორტს აფერხებს. თუ ერთი და იგივე სტანდარტში მოვექცევით, ეს კიდევ უფრო წაახალისებს და გაზრდის რეექსპორტს რომელიც ახლა ძალიან გაზრდილია. დაბალი სტანდარტების მანქანების რიცხვი ისეთი მაღალი არ არის, როგორიც ადრე იყო. ეს განპირობებულია განბაჟების ტარიფების ცვლილებით, – აცხადებს გიორგი სურგულაძე.

კავკასიის ავტოიმპორტის დირექტორი იმ ეკოლოგიურ საფრთხეებზე საუბრობს, რომლის წინაშეც შესაძლოა საქართველო აღმოჩნდეს.

– მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ევროპაში უახლოეს თვეებში დიზელის აკრძალვა მოხდება, ანუ პრაქტიკულად დიზელის ყიდვა-გაყიდვა და დიზელის მანქანით სარგებლობა დიდი ალბათობით აიკრძალება. ეს მანქანები კი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მოაწყდება. ხელისუფლებამ ეს კანონმდებლობა სწრაფად თუ არ დაახვედრა, დიზელთან მიმართებაში მოკლე დროში გარემოსთვის სერიოზულ ზიანს მივიღებთ, – აღნიშნავს გიორგი სურგულაძე.

მისი თქმით, ცვლილებები იმ ადამიანებისთვისაც მისაღები იქნება, ვინც ძველი მანქანების შემოყვანით არის დაკავებული.

– დღეს ვინც მუშაობს ავტომობილების ყიდვა-გაყიდვაზე, ყველა მოერგება ახალ სტანდარტს. საბოლოო ჯამში, ვისაც დღეს ძველი მანქანები შემოჰყავს და ამითი აკეთებს ბიზნესს, იძულებული იქნება გადაეწყონ ახალ სტანდარტზე, რაც საბოლოო ჯამში მისთვისაც კარგი იქნება, რადგან რეგიონის მიმართულებით დაიწყებს მუშაობას და მარტო საქართველოს ბაზარზე არ იქნება ორიენტირებული. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვისაც, რადგან უცხოური ვალუტა ქვეყანაში დარჩება, – განაცხადა გიორგი სურგულაძემ.

გიორგი სურგულაძის მოსაზრებას ეთანხმება ეკონომიკის ექსპერტი რატი აბულაძე. თუმცა, მისი თქმით, ქვეყანაში კანონები მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდის პარალელურად უნდა გამკაცრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ უმუშევართა არმიას.

– იმპორტის შეზღუდვა ისეთივე მტკივნეული საკითხი არ იქნება, როგორც ტექნიკური დათვალიერების გამკაცრების პოლიტიკა. ტექნიკური დათვალიერების მოთხოვნები მკაცრი არ უნდა იყოს. არსებული საავტომობილო პარკის ერთი ხელის მოსმით შეცვლით ქვეყანა ავტოსასაფლაოდ არ უნდა იქცეს. ძველი მანქანის მფლობელები, რომელთა დიდი ნაწილისათვის მანქანა არის ოჯახის რჩენის საშუალებაა, პოლიტიკამ არ უნდა გააკოტროს. ბუნებრივია, ყველას უნდა ახალი მანქანა, მაგრამ რისი საშუალებაც აქვს, იმას იძენს, – განაცხადა რატი აბულაძემ

ეკონომიკის დოქტორი აცხადებს, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით, ქვეყანა შემცირებულ იმპორტს და განახლებულ საავტომობილო პარკს მიიღებს. მისი თქმით, რეგულაციები სატრანსპორტო პოლიტიკას მოაწესრიგებს, შედეგად კი გადატვირთული გზები განიტვირთება. აბულაძე იმ უარყოფით მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც შესაძლოა ინიციატივის მოჰყვეს.

– რეგულაციების შედეგად ბაზარი თავისუფალი გახდება მხოლოდ მსხვილი ავტოდილერებისთვის და „განთავისუფლებული“ – მცირე კაპიტალით მოქმედი ავტოდილერებისგან. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ქვეყანაში გვყავს იაფფასიანი მანქანების მომხმარებელთა დიდი სეგმენტი და ძვირადღირებული მანქანების მსყიდველოუნარიანი მცირე სეგმენტი. შესაბამისად, ბაზრის მსყიდველობითუნარიანობისა და ავტოდილერების მცირე საბრუნავი კაპიტალის ფონზე (მათი დიდი ნაწილი ოჯახებს არჩენს ხანდაზმული და დაბალ ფასიანი მანქანების იმპორტით) კიდევ ერთი სეგმენტი დაემატება უმუშევართა არმიას, რაც ისევ ბიუჯეტს დააწვება ტვირთად, – აცხადებს რატი აბულაძე.

**კომერსანტი**

# „ბაუ სტარი“: „რომან ფიფიას ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ კორპუსის 2 სართული აჩუქა, ალბათ ჩვენგანაც იგივეს ელის“

უკვე წლებია, ერთის მხრივ, საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისსა“ და მეორე მხრივ, სამშენებლო კომპანია „ბაუ სტარსა“ და შპს „გიკო და კომპანია“-ს შორის სამეზობლო დავა ვერ სრულდება. დავის მიზეზი ყველასათვის ცნობილი კლუბის ბაზასთან ახლოს მიმდინარე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობაა.

აქამდე მედიაში მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ „თბილისი დინამო“ უჩიოდა სამშენებლო კომპანიებს არაკანონიერი მშენებლობის გამო, თუმცა ამჯერად თავად სამშენებლო კომპანიები ერთვებიან „სამეზობლო ბრძოლაში“ და კომერსანტთან ღიად საუბრობენ, მათი თქმით, კლუბის ხელმძღვანელის რომან ფიფიას თაღლითურ სქემებზე.

„ბაუ სტარის“ დამფუძნებლის მალხაზ სოლომონიშვილის თქმით, კლუბს, უფრო ზუსტად კი რომან ფიფიას, 2011 წლიდან უკანონოდ აქვს მითვისებული მისი ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე არაკანონიერი მშენებლობის გამო კი, თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა საფეხბურთო კლუბი 8 ათასი ლარის ჯარიმაც დააკისრა. აღნიშნულ საქმეზე სარჩელი სასამართლოში 2017 წლის ნოემბერში შევიდა და საბოლოო გადაწყვეტილება ამ დღეებში გახდება ცნობილი.

**მალხაზ სოლომონიშვილი:**

– აქამდე ამაზე ხმამაღლა არ ვსაუბრობდით, რადგან ვაცნობიერებთ „დინამო თბილისის“ ისტორიასა და მისდამი ხალხის სიყვარულს. არ გვინდოდა ამის გამო ჩვენ მიმართ საზოგადოებაში ნეგატიური განწყობა შექმნილიყო, მაგრამ ახლა, ფიფიამ არჩევანი არ დაგვიტოვა. გვებრძვის სრულიად არაკანონიერი გზებით. შესაბამისად, ჩვენც გადავწყვიტეთ უკიდურეს ფორმებს მივმართოთ და გამოვავლინოთ მისი ნამდვილი სახე. ჩვენს 1515 კვ. მეტრი ფართობის ტერიტორიაზე, საჩოგბურთო კორტების გარდა, რომან ფიფიას დარგული აქვს, ხეხილი, მწვანილი, კიტრი; ასევე გაშენებული აქვს საქათმე და ეს ყველაფერი თავად შეგიძლიათ ნახოთ. მერიამ დაადასტურა, რომ ტერიტორია ჩვენია და იქ უკანონოდ განხორციელდა მშენებლობა. ბოლომდე ვიბრძოლებთ ამ ტერიტორიის დაბრუნებაზე, სადაც მომავალში ჩვენი მცხოვრებლებისთვის ავაშენებთ კომერციულ ფართს.

კიდევ ერთი საქმე, რის საფუძველზეც კომპანია „ბაუ სტარი“ და შპს „გიკო და კომპანია“ აპირებს 10 დღეში „დინამო თბილისს“ უჩივლოს, ეს მორალური და ფინანსური ზარალია.

როგორც ირკვევა, თავის დროზე საფეხბურთო კლუბმა სასამართლოში უჩივლა ორივე სამშენებლო კომპანიას არაკანონიერი მშენებლობის გამო. სანამ დამტკიცდებოდა, რომ სარჩელი იყო არაკანონიერი, 5 თვის განმავლობაში კომპანიებს მშენებლობის შეჩერება მოუწიათ. ამ პერიოდში კი „ბაუ სტარის“ ზარალმა 4 მლნ. ლარამდე მიაღწია. მალხაზ სოლომონიშვილის თქმით, დროა „დინამო თბილისმა“ ეს თანხა აანაზღაუროს (აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მილიონს სცდება ცალკე კომპანია შპს „გიკო და კომპანია“-ს ზარალიც. შესაბამისად, ეს უკანასკნელიც ცალკე აპირებს საფეხბურთო კლუბის წინააღმდეგ სარჩელის სასამართლოში შეტანას).

– საკმაოდ დიდი ფინანსური ზარალი მივიღეთ და კანონის ძალით ვაპირებთ ეს თანხა დავიბრუნოთ. ამასთან სარჩელი შეგვაქვს მორალურ ზიანზეც, რადგან რამდენიმე დღის წინ „თბილისის დინამოს“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ეწერა, რომ უნდა განხორციელებულიყო ჩვენი კორპუსების დემონტაჟი. ადამიანები, ვისაც ბინები აქვთ აქ ნაყიდი, პანიკაში ჩავარდნენ, ჩვენც ვინერვიულეთ. არადა, აღმოჩნდა, რომ მოსამართლის გადაწყვეტილების ბოლო ორი მთავარი გვერდი საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობას არ გაუვრცელებია. სწორედ იქ წერია, რომ დემონტაჟი იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ჩვენი მხარე არ გაასაჩივრებდა. მოკლედ, აღარ ვაპირებთ რეპუტაციის შელახვის ატანას, – აღნიშნავს სოლომონიშვილი.

მისივე თქმით, სულ თავიდან, სანამ საფეხბურთო კლუბის ბაზასთან ახლოს კორპუსების მშენებლობა დაიწყებოდა, „ბაუ სტარისა“ და შპს „გიკო და კომპანია“-ს წარმომადგენლობამ არაერთხელ გამოხატა ინიციატივა რომან ფიფიასთან შეხვედრის, რათა მომავალში რაიმე გაურკვევლობა არ მომხდარიყო. თუმცა ამ უკანასკნელისგან რეაგირება არც ერთ შემთხვევაზე არ ყოფილა და მშენებლობაც კანონის გზით დაიწყო.

კითხვაზე, რატომ აქვს „თბილისის დინამოს“ არაკანონიერი მოთხოვნები? რატომ არ ჯდება რომან ფიფია მოლაპარაკების მაგიდასთან? და რატომ გრძელდება სამეზობლო დავა უსასრულოდ, მალხაზ სოლომონიშვილი ასე პასუხობს:

Bau Star
Construction Development Company
F.C. DINAMO TBILISI
1925

– მან იცის, რომ ყველა არსებულ სასამართლო დავას წააგებს და ახლა პროცესებზე არ გამოცხადებით, მედიაში არასწორი ინფორმაციების გავრცელებით და ა.შ., ის ცდილობს დროის გაწელვას. არ მინდა ჭორაობაში ჩამეთვალოს, მაგრამ ალბათ ამ ყველაფერში ფიფიას თაღლითობა კარგად ჩანს და ამას საზოგადოებაც მალე გაიგებს.

კიდევ ერთი, ჩვენ გარდა ბაზასთან ახლოს კიდევ ერთი კომპანია აშენებდა კორპუსს, ვისთანაც რომან ფიფიას რატომღაც არ ჰქონია პრობლემა. მერე გავარკვიეთ, რომ ამ კომპანიას თავისი აშენებული საცხოვრებელი კორპუსის ბოლო ორი, საუკეთესო სართული უჩუქებია. დღეს ის ბოლო ორი სართული იყიდება. ალბათ ჩვენგანაც იგივე უნდოდა და რომ არ მიიღო, ამიტომაც არ ჩერდება, – აღნიშნავს სოლომონიშვილი.

კომერსანტი დეტალების გასარკვევად დაუკავშირდა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ ხელმძღვანელობას. როგორც კლუბში განგვიცხადეს, ამ ეტაპზე მალხაზ სოლომონიშვილის ყველა ბრალდებაზე კომენტარის გაკეთებისგან ხელმძღვანელობა თავს იკავებს. „დინამო თბილისი“ დაელოდება სასამართლო გადაწყვეტილებას ყველა აღნიშნულ სარჩელზე და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს ოფიციალურ განცხადებას.

**კომერსანტი**

# ირაკლი ლექვინაძე კომპანია „ახალი თევზის“ შესახებ: „დავინტერესდით, რას ითხოვდა კომპანია“



თევზის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია შპს „ახალი თევზი“, რომელიც პროდუქციას „უმალის“ ბრენდით აწარმოებს, საავტომობილო გზების დეპარტამენტს ბიზნესისთვის ხელის შეშლაში ადანაშაულებს. კომპანიის დირექტორი დიტო წვერავა აცხადებს, რომ საგზაო დეპარტამენტმა ცენტრალური მაგისტრალიდან ქარხანამდე მისასვლელი გზა დაკეტა, რის გამოც კომპანიას საკმაოდ ბევრ პროექტზე ხელი შეეშალა.

„კომერსანტი“ დაინტერესდა, აქვს თუ არ ინფორმაცია საქართველოს ბიზნესომბუდსმენს აღნიშნული შემთხვევის შესახებ და ჩაერთვება თუ არა პროცესში. ირაკლი ლექვინაძის თქმით, ბიზნესომბუდსმენის აპარატი ქეისით ჯერ კიდევ ერთი თვის წინ დაინტერესდა და პროცესში ჩართულ ყველა მხარესთან ჰქონდა კომუნიკაცია.

– კომპანია „ახალი თევზის“ ქეისის შესახებ ინფორმაცია გვაქვს და კომპანიის მენეჯმენტს შესაბამის უწყებებთან კომუნიკაციაში დავეხმარეთ. დავინტერესდით, რას ითხოვდა კომპანია და რამდენად შესაძლებელი იყო სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნულის დაკმაყოფილება. კომპანიის ხელმძღვანელობა ითხოვს ავტობანიდან ქარხანამდე სპეცგზის შეჭრას, რაც უსაფრთხოების სტანდარტების დარღვევა იქნება. საგზაო დეპარტამენტთან თანამშრომლობით კომპანიას შეთავაზებული აქვს ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც ქარხანამდე მისასვლელი გზის სოფლის შიდა გზასთან დაერთებას გულისხმობს, – ამბობს ირაკლი ლექვინაძე.

**კომერსანტი**

# 4 მილიარდ ლარზე მეტი დაფინანსება განათლების სექტორს და 6 წელიწადში შეცვლილი 5 მინისტრი



კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე განათლების სამინისტროს დაფინანსებამ 4 მილიარდ ლარს გადააჭარბა. 2012-2016 წლებში უწყებაში 5 მინისტრი შეიცვალა. „კომერსანტი“ სვამს კითხვას, გაზრდილი დაფინანსების და ხშირი საკადრო ცვლილებების ფონზე, რატომ რჩება ქვეყანაში გამოწვევად განათლების დაბალი ხარისხი?

განათლების მინისტრები 2012 -2018 წლებში

ხატია დეკანოიძე, 4 ივლისი, 2012 – 25 ოქტომბერი, 2012;
გიორგი მარგველაშვილი, 25 ოქტომბერი, 2012 – 18 ივლისი, 2013;
თამარ სანიკიძე, 18 ივლისი, 2013 – 3 ივნისი, 2016;
ალექსანდრე ჯეჯელავა, 3 ივნისი, 2016 – 13 ნოემბერი, 2017;
მიხეილ ჩხენკელი, 13 ნოემბერი, 2018 წლის -12 ივლისი;
მიხეილ ბატიაშვილი – 2018 წლის 12 ივლისი.

საქართველოს დაბალი მაჩვენებელი აქვს მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო კვლევებში. კერძოდ, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) ძირითადი კვლევა და წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS) -ში.

საქართველოში 15 წლის ასაკის მოსწავლეთა ორი მესამედი ვერ აკმაყოფილებს საბაზისო სტანდარტებს ფუნქციურ კითხვაში, საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში. დაბალ აკადემიურ მოსწრებაზე მეტყველებს ასევე, საშუალო განათლების საფეხურზე სკოლის მიტოვების მაღალი მაჩვენებელი და შემდეგ ამ ახალგაზრდების უუნარობა, დააკმაყოფილონ შრომის ბაზრის მოთხოვნები – ნათქვამია აღნიშნულ კვლევებში.

**კომერსანტი**

# ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის ვაკის პარკში დაპირისპირება მოხდა




ვაკის პარკში პოლიციამ სამი პირი დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, ადმინისტრაციული წესით სამი ადამიანია დაკავებული, რომლებიც ფეხბურთის ქომაგები არიან.

უწყების განმარტებით, დაპირისპირება სწორედ ფეხბურთის გულშემატკივრებს შორის მოხდა.

– დაკავებულია სამი მოქალაქე ადმინისტრაციული წესით, 166 და 173–ე მუხლებით, რაც წვრილმან ხულიგნობას და პოლიციელის კანონიერი მოწოდების დაუმორჩილებლობას გულისხმობს, – განაცხადეს შსს-ში. უწყების ინფორმაციით, დაკავებულები პოლიციის განყოფილებაში რჩებიან.

როგორც თვითმხილველებმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადეს, ფეხბურთის ქომაგები ვაკის პარკში ხმაურობდნენ, რასაც დაპირისპირება მოჰყვა. ინციდენტში დაახლოებით 50 ადამიანი იყო ჩართული.

აღსანიშნავია, რომ თბილისის მერიის უსაფრთხოების სამსახურს ინციდენტთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ვაკის პარკში მყოფმა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა განუცხადეს, ვაკის პარკში დაპირისპირება საერთოდ არ მომხდარა.

# „ზუსტად ვიცი, ანა შეყვარებულმა მოკლა“ — თემქაზე მოკლული 20 წლის გოგოს მეგობრის სკანდალური ჩვენება



20 წლის ანა ნაცვლიშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ ლადო გრიგალაშვილის პროცესზე ნაცვლიშვილის მეგობარმა, დარეჯან თათარაშვილმა ჩვენება მისცა.

მისი თქმით, ანას და ლადოს ურთიერთობას არასდროს ემხრობოდა.

– სრულიად უმიზეზოდ შორდებოდა, აუხსნელად ტოვებდა, სხვა გოგოებთან მიდიოდა. ეს ადამიანი პიროვნულადაც არასდროს მომწონდა, არასანდოდ მიმაჩნდა. ჩემში ეჭვს იწვევდა, რომ მას მეგობრებიც არ ჰყავდა, ეჭვს იწვევდა, თუ რატომ არ აცნობდა მათ ანას... ანა ცოტა ადამიანს ენდობოდა, ამიტომ შეუძლებელი იყო, ის დილის 5 საათზე სხვას გაყოლოდა. არასდროს სხვა დროს გრიგალაშვილს არ შეშინებია, ანა მის ზარებს რატომ არ პასუხობდა.

ანას ძალიან უყვარდა ლადო, იმდენად ძალიან, რომ ეს მიკვირდა კიდეც. ანას ცხოვრებაში სხვა მამაკაცი, ბიჭი არ არსებობდა, – თქვა მოწმემ.

დარეჯან თათარაშვილმა მკვლელობის დღეს განვითარებულ მოვლენებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ როდესაც დილით, 06:00 საათზე, ნაცვლიშვილის სახლში ლადო გრიგალაშვილის მისვლის ამბავი გაიგო, მაშინვე გაუჩნდა ეჭვი, რომ მკვლელობა მის მიერ იყო ჩადენილი.

– ეს არ გავს იმ პიროვნებას, რომელსაც საყვარელი ადამიანი მოუკლეს. გარედანაც რომ ვუყურებდი, საკმაოდ ცინიკური გამოხედვა აქვს. ბედნიერი ვიქნები, რომ ვცდებოდე და ერთი პროცენტი მაინც არსებობდეს იმის შანსი, რომ არ იყოს ეს ჩადენილი ლადო გრიგალაშვილის მიერ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მკვლელი არის ის, – განაცხადა მოწმემ.

# მთავარი პროკურორის პოსტზე ასარჩევად შალვა თადუმაძის კანდიდატურა პარლამენტს ოფიციალურად წარედგინა



მთავარი პროკურორის პოსტზე ასარჩევად შალვა თადუმაძის კანდიდატურა პარლამენტის ბიუროს ოფიციალურად წარედგინა. ბიურო ხვალინდელ სხდომაზე მიიღებს გადაწყვეტილებას თადუმაძის მოსმენისა და დამტკიცების გრაფიკთან დაკავშირებით. წინასწარი ინფორმაციით კი, ეს პროცედურა მომავალი კვირიდან დაიწყება.

პარლამენტი მთავარ პროკურორს 6-წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, პარლამენტისთვის კანდიდატურის წარდგენიდან 3-კვირის ვადაში ირჩევს. რეგლამენტის თანახმად, მთავარი პროკურორობის კანდიდატს პლენარულ სხდომაზე არჩევამდე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა უნდა მოუსმინოს. ამასთან, თადუმაძესთან შეხვედრის და მისი მოსმენის სურვილი უმცირესობას უმცირესობის ფორმატში აქვს.

# ადვოკატი: კობაური ამბობს, რომ შეესწრო, თუ როგორ მოკლა სავარაუდოდ ორმა ლეკმა სმიტების ოჯახი და მასაც დაემუქრა



– კობაური ამბობს, რომ შეესწრო, თუ როგორ მოკლა სავარაუდოდ ორმა ლეკმა სმიტების ოჯახი და მასაც დაემუქრა, თუ ხმას ამოიღებდა. ჩვენი მთავარი მოთხოვნაა, გამოძიებამ დაადგინოს, ვის ეკუთვნის შავი ავტომობილი, ასევე, ვინ იყო ის ორი უცნობი ადამიანი ხადას ხეობაში, ვინც დანაშაული ჩაიდინა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სმიტების ოჯახის მკვლელობაში ბრალდებულის ადვოკატმა დავით გირგვლიანმა ხადას ხეობაში მომხდარი მკვლელობის ვერსიაზე საუბრისას განუცხადა.

გირგვლიანის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფმა პირმა, მალხაზ კობაურმა მას მოუყვა, რეალურად თუ რა მოხდა ხადას ხეობაში. შესაბამისად იკვეთება, რომ საქმეში ფიგურირებს ორი უცხო ეროვნების მამაკაცი. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ეს მამაკაცები შესაძლოა ჩრდილოკავკასიელები იყვნენ.

– ბრალდებული მისთვის ბრალად წარდგენილ ქმედებას არ აღიარებს. მან მომიყვა, სინამდვილეში თუ რა მოხდა და რას შეესწრო. მისი საუბარი იყო ლოგიკური და სწორი, ასევე ერთმანეთთან კავშირში მყოფი.

მის მიერ გაკეთებულ განცხადებას „უცხოელებთან“ დაკავშირებით არაერთი ინტერპრეტაცია მოჰყვა, თითქოს უცხოები თქვა და არა უცხოელებიო. ეს ადამიანები სავარაუდოდ უცხოებიც იყვნენ და უცხოელებიც. ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ანუ, როგორც ბრალდებულმა განაცხადა, ეს ადამიანები იყვნენ დაახლოებით ორი მეტრის, შავგვრემნები. აქცენტით საუბრობდნენ ქართულად. მალხაზ კობაურმა მითხრა, რომ აქცენტით მიამსგავსა უფრო ჩრდილოკავკასიელებს, აღნიშნა, რომ უფრო ლეკებს ჰგავდნენო. მან ასევე თქვა, რომ ეს ადამიანები ოსებს არ ჰგავდნენო.

თავად კობაური ამბობს, რომ თვითონ იყო შემსწრე იმისა, თუ როგორ მოკლა ამ ორმა ადამიანმა სმიტების ოჯახი და შესაბამისად დაემუქრნენ მას, რომ მოკლავდნენ მასაც და მის ოჯახსაც იმ შემთხვევაში, თუ იგი ხმას ამოიღებდა.

ასევე მათი მუქარა ბრალდებულისთვის იყო რეალურად აღქმადი. რაც შეეხება გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებას, მან შეცვალა ეს ჩვენება ჯერ კიდევ აღმკვეთი ღონისძიების სხდომაზე და განაცხადა, რომ აღნიშნული ქმედება მას არ ჩაუდენია. და ისიც თქვა, რომ ეს ორმა უცნობმა პიროვნებამ ჩაიდინა. მის მიერ დაფიქსირებულია, რომ ეს ორი ადამიანი შემთხვევის ადგილზე მივიდა შავი ფერის ავტომობილით. ავტომობილის მარკას და მოდელს, ასევე ვერც ნომერს ასახელებს, რადგანაც ის ავტომობილიდან შორს იმყოფებოდა, – განაცხადა გირგვლიანმა. რაც შეეხება სხვა დეტალებს, გირგვლიანი საქმის ინტერესებიდან გამომდინარე სხვა დეტალებს არ აკონკრეტებს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ხადას ხეობაში დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი, ორი ან მეტი პირის, მათ შორის, დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1998 წელს დაბადებული მალხაზ კობაური დააკავა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თავდაპირველად გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის მე-2 ნაწილით დაიწყო, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს, თუმცა სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი მონაცემების მიღების შემდეგ საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა.

ხადას ხეობაში მცხოვრებთა ინფორმაციით, 19 წლის მწყემსსა და რაიან სმიტს შორის ფიზიკური დაპირისპირება, სავარაუდოდ, ეჭვიანობის ნიადაგზე მოხდა, რის შემდეგაც მან სმიტი მოკლა. ამის შემდეგ, ადგილობრივების ინფორმაციით, მწყემსმა ლორა სმიტზე ძალადობა სცადა, თუმცა, გაქცევისას ლორა სმიტი ჩანჩქერიდან გადავარდა და დაიღუპა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ცოლ-ქმრის მკვლელობის შემდეგ, მწყემსმა მათი მცირეწლოვანი შვილი თოფით მოკლა.

მალხაზ კობაურს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2018 წლის 4 სექტემბერს 14:00 საათზე მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

# პაატა ბურჭულაძე: „თუ მე ამას მიკეთებენ, მთელ საქართველოს უკვე პატრონი არ ჰყავს, რადგან აღარავინ არის დაცული“

– თუ მე ამას მიკეთებენ, მთელ საქართველოს უკვე პატრონი არ ჰყავს, რადგან საქართველოში აღარავინ არის დაცული, – ამის შესახებ პაატა ბურჭულაძემ ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, სადაც მაგისტრანტი მოსამართლის თანდასწრებით საქველმოქმედო ფონდ „იავნანაში“ დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის საქმეზე კითხავდნენ.

როგორც ბურჭულაძემ გამოკითხვის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ის საქმეში საერთაშორისო ექსპერტებს ჩართავს.

– ეს იყო კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ ბნელ ოთახში ეძებენ შავ კატას. ძალიან ვწუხვარ, რომ ის შავი კატა იმ ოთახში არ არსებობს. ეძებენ იმ საქმეს, რომელიც არ არსებობს, რაც ძალიან სამწუხაროა. წინაზე თუ ვთხოვდი, რომ რაც შეიძლება მალე დასრულებულიყო ეს საქმე, დღეს მე განვუცხადე პროკურორსა და გამომძიებელს, რომ უკვე აღარ არის საჭირო სიჩქარე, აკეთეთ ნელა იმიტომ, რომ რაც შეგეძლოთ, უკვე თქვენ ფონდს და საქართველოს რეპუტაციას ავნეთ. ასევე მავნეთ მე ისე, რომ თქვენი საქმე ფრიადზეა შესრულებული. ახლა შეუძლიათ, გინდ შეწყვიტონ და გინდ – გააგრძელონ. თუ მე ამას მიკეთებენ, მთელ საქართველოს უკვე პატრონი არ ჰყავს, იმიტომ, რომ საქართველოში აღარავინ არის დაცული. ერთ პირობას ვიძლევი, რომ მე ამას ბოლომდე მივიყვან, საერთაშორისო ექსპერტებს ჩამოვიყვან, აქ დავადებინებთ დასკვნას და ამ საქმეს, ყველაფერს, რაც კი უსამართლობაა, ჩვენ აღმოვფხვრით. ამის



პირობას ვდებ, – განაცხადა ბურჭულაძემ.

❖ ❖ ❖

საქმის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ პაატა ბურჭულაძის მიერ არავითარი დანაშაული არ არის ჩადენილი და, შესაბამისად, ამ საქმის გაგრძელებას არავითარი აზრი არ აქვს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ოპერის მომღერლის ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, პროკურატურამ პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ უნდა შეწყვიტოს გამოძიება, რომელიც საქველმოქმედო ფინდ „იავნანას“ თანხების არამიზნობრივად ხარჯვას ეხება. უფლებადამცველის თქმით, ბურჭულაძეს ასეთი ქმედება არ ჩაუდენია. ადვოკატის განმარტებით, მსოფლიო ბანმა გამოკითხვისას გამოძიებას წარუდგინა შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც მისი თანხების ლეგალურობა დგინდება.

– გამოძიებას მან წარუდგინა მტკიცებულებები, ეს არის დეკლარაციები, ხელშეკრულებები მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებთან დადებული, ასევე, მისი იმპრესარიოს მიერ გაცემული ცნობა. ეს ყველაფერი გვიჩვენებს მისი თანხების წარმომავლობის ლეგალურობას, რომელიც იყო მის ანგარიშებზე, რომ მის თანხებს არავითარი შემხებლობა არ გააჩნდა ფონდ „იავნანასთან“. თვითონ ეს საქმე გვიჩვენებს, რომ პროკურატურამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დახუროს, რათა დასრულდეს ეს ყველაფერი. ანუ ფაქტის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ არავითარი დანაშაული არ არსებობს და, შესაბამისად, არავითარი აზრი არ აქვს ამ საქმის გაგრძელებას. თუ ეს საქმე გაჭიანურდება და კვლავ გაგრძელდება, როგორც პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, საერთაშორისო ექსპერტები ჩაერთვებიან საქმეში, რათა მათ შეისწავლონ აღნიშნულზე ყველაფერი, – განაცხადა ბარათაშვილმა.

მსოფლიო ბანი პაატა ბურჭულაძე თბილისის საქალაქო სასამართლოში მაგისტრანტი მოსამართლის თანდასწრებით პროკურატურის კითხვებს რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა.

საქმე ეხება პაატა ბურჭულაძის წინააღმდეგ დაწყებულ გამოძიებას, რომლის მიხედვით პროკურატურა მსოფლიო ბანს, ფონდ „იავნანას“ თანხების არამიზნობრივად ხარჯვას ედავება. ოპერის მომღერალი აცხადებს, რომ მისი სიმართლის დასამტკიცებლად საქმეში საერთაშორისო ექსპერტებს ჩართავს.

# ანრი ოხანაშვილი: „საჭიროა, მოწმეებმა უფრო მეტად ითანამშრომლონ საგამოძიებო კომისიასთან და საგამოძიებო უწყებებთან“

– საჭიროა, უფრო მეტად ითანამშრომლონ მოწმეებმა როგორც კომისიასთან, ასევე საგამოძიებო უწყებებთან, – ამის შესახებ ხორავას ქუჩაზე მოზარდების მკვლელობის საქმეზე შექმნილი საგამოძიებო კომისიის წევრმა, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

კომისიის წევრებმა ფსიქოლოგების თანდასწრებით ის არასრულწლოვნები გამოკითხეს, რომლებიც შემთხვევის დროს ადგილზე იმყოფებოდნენ.

– ჩვენ მოწმეთა გამოკითხვები გავაგრძელეთ. გამოვკითხეთ ორი მოწმე, რომლებიც ამ ინციდენტში გარკვეულ მონაწილეობას იღებდნენ. თუმცა, ისევე, როგორც დღემდე, რაიმე განსაკუთრებული სიახლე ან დეტალი არ უთქვამთ. ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით, რომ პრობლემაა ჩვენებებთან დაკავშირებით. საჭიროა უფრო მეტად ითანამშრომლონ მოწმეებმა.



ჩვენი მიზანია მივიღოთ მეტი ინფორმაცია, ვიდრე აქამდე შეიძლება ყოფილიყო. მოწმეები ყვებიან ფაქტებზე, თუმცა ვერ იხსენებენ დეტალებს და გარკვეულწილად იმ ჩვენებებს უბრუნდებიან, რომელიც მიცემული აქვთ.

დასაკითხ პირებს შორის დღეს დაკითხული პირები ფარდულში არ ყოფილან, თუმცა პერიმეტრზე ფიქსირდებიან, – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

# ტრამპმა ნატოს სამიტზე გერმანია გააკრიტიკა




წლევანდელ ნატოს სამიტს ყველა მოუთმენლად მოელოდა. პრეზიდენტ ტრამპის რიგი განცხადება მართლაც დამაფიქრებელი იყო. ამან სამიტის მიმდინარეობაზეც გავლენა იქონია და ტრამპისა და ანგელა მერკელის შეხვედრაზეც აისახა.

აშშ-ის პრეზიდენტი და გერმანიის კანცლერი ერთმანეთს სამიტის კულუარებში შეხვდნენ. ტრამპმა მერკელს ფრიად უცერემონიოდ უთხრა, რომ გერმანია რუსეთის კონტროლქვეშ იმყოფება, რისი ცხადი დასტურიცაა პროექტი „ჩრდილოეთის ნაკადი 2." მისი წყალობით ევროპაზე და კერძოდ, გერმანიაზე რუსეთის გავლენა იზრდება.

— თქვენ მოითხოვთ, რომ ამერიკელებმა რუსეთისაგან დაგიცვან და ამავე დროს რუსეთთან ერთად ასეთ პროექტებს იწყებთ, — თქვა ტრამპმა.

— გერმანია სუვერენული სახელმწიფოა და დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს, — მიუგო მერკელმა.

გერმანიის კანცლერს ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი მიეშველა. მან თქვა, რომ ცივი ომის დროსაც კი გერმანია, ისევე, როგორც ევროპის სხვა ქვეყნები, საბჭოთა კავშირთან ეკონომიკურ კავშირებს ინარჩუნებდა. სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა, რომ „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ში ვერავითარ საშიშროებას ვერ ხედავს.

მიუხედავად ამისა, ტრამპმა პოზიცია არ შეიცვალა. მეტიც, სტოლტენბერგის რეპლიკამ აშშ-ის პრეზიდენტი გაალიზიანა. ტრამპმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ ნატოში შემავალმა ქვეყნებმა თავდაცვაზე ხარჯები 2-ჯერ გაზარდონ.

— საერთაშორისო ვითარება იძაბება! რუსეთის მხრივ საფრთხე რეალურია. ნატოს წევრი ქვეყნებიც მოვალენი არიან, რომ თავდაცვაზე ხარჯები 2-ჯერ გაზარდონ! — თქვა ტრამპმა.

სტოლტენბერგი აშშ-ის პრეზიდენტს დაეთანხმა იმაში, რომ საერთაშორისო მდგომარეობა იძაბება და თავდაცვაზე ხარჯების გაზრდაც აუცილებელია. სტოლტენბერგის წინადადებით სამიტზე მიღებულ იქნა დეკლარაცია, სადაც ნათქვამია, რომ ნატომ ერთიანობა უნდა შეინარჩუნოს, რასაც დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს.

— რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, გააჩაღა ომი დონბასში, განალაგა რაკეტები ნატოს საზღვრებთან. რუსეთის ასეთი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა დასავლური დემოკრატიის მიმართ გამოწვევა. ამით რუსეთი საერთაშორისო უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის. ასეთ სიტუაციაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ერთიანობა სასიცოცხლოდ აუცილებელია, — ნათქვამია დეკლარაციაში.

სამიტზე მაკედონია ოფიციალურად მიიწვიეს ნატოში გასაწევრიანებლად.

## ვლადიმერ პუტინი ისრაელის პრემიერს შეხვდა



ვლადიმერ პუტინი ისრაელის პრემიერ ნეთანიაჰუს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემა სირიაში შექმნილი მდგომარეობა იყო.

ნეთანიაჰუმ პუტინს განუცხადა, რომ ისრაელი შეეგუება სირიის ხელისუფლებაში ბასარ ასადის დარჩენას. მთავარია ის, რომ სირია ირანულმა ფორმირებებმა დატოვონ.

— ირანი ჩვენთვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს, — თქვა ნეთანიაჰუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კანადელი გრიზლის თავდასხმას გადაურჩა



კანადის ქალაქ ბელა კულას მცხოვრებმა ჯორდან კარბერმა გრიზლის თავდასხმის მოგერიება შეძლო და დამოუკიდებლად მიაღწია საავადმყოფომდე.

მამაკაცი სახლიდან მას შემდეგ გამოვიდა, რაც ეზოში რაღაც მოძრაობა შენიშნა. ამის შემდეგ მან ჯერ დათვის ბელები დაინახა, რომლებიც ხეზე მიძვრებოდნენ, შემდეგ კი — მისკენ გამოქანებული დედა დათვი.

ადგილობრივი ტელეარხის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, კანადელი შეეცადა, სახლში შებრუნებულიყო, მაგრამ მტაცებელი თავს დაესხა და რამდენიმეჯერ უკბინა. მამაკაცს თავზე კანი გადასძვრა, ასევე გრიზლიმ მას იარები მიაყენა ფეხზე, მკერდსა და მუცელზე, თუმცა, ამის მიუხედავად, მან სახლში თავის შეფარება მოახერხა.

სახლში ტელეფონი არ იყო, ამიტომ მამაკაცმა თავად მოახერხა ადგილობრივ საავადმყოფოში მისვლა, საიდანაც შემდეგ ის ვანკუვერში გადაიყვანეს.

ბუნების დაცვის სამსახურის ინსპექტორ ლენ ბატლერის თქმით, კარბერის გაუმართლა, ხოლო დათვი მას თავს იმიტომ დაესხა, რომ ბელების დაცვას ცდილობდა.

## განჯის მიტინგის დარბევისას ორი აზერბაიჯანელი პოლიციელი დაიღუპა

აზერბაიჯანის ხელისუფლებამ განჯის საპროტესტო აქცია სასტიკად დაარბია. მომიტინგეები დაშალეს.

ამ დროს ორი პოლიციელი დაიღუპა. მომხდარის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

უკანასკნელ ხანს განჯაში ვითარება მკვეთრად დაიძაბა. მოხდა შეიარაღებული თავდასხმა მერზე, შემდეგ ამას საპროტესტო აქცია და მისი სასტიკი მეთოდებით დარბევა მოჰყვა.



## ჩეხეთის პარლამენტმა მთავრობას ნდობა გამოუცხადა




ჩეხეთის პარლამენტმა პრემიერ ბაბიშას მთავრობას ნდობა გამოუცხადა. ამას მხარი 105-მა დეპუტატმა დაუჭირა.

ჩეხეთის საპარლამენტო უმრავლესობაში შედიან პოპულისტური ორგანიზაცია „უკმაყოფილო მოქალაქეთა აქცია" და სოციალ-დემოკრატები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ლიბანში ქალაქის მერმა პოლიციელებს სექსუალური ფორმები ჩააცვა

ლიბანის ქალაქ ბრუმანას მერმა პიერ აჩკარმა გადაწყვიტა, ქალაქში ტურისტები უჩვეულო საშუალებით მიეზიდა და ამისთვის პოლიციელ გოგონებს მოკლე შარვლები ჩააცვა.

აჩკარის თქმით, ყოველ წელს ქალაქის ხელისუფლება უჩვეულო გადაწყვეტილებებს იღებს, რათა ამით საერთაშორისო მედია შოკში ჩააგდოს და დასავლეთიდან ტურისტები მიიზიდოს. წელს პოლიციაში სამუშაოდ მიიწვიეს გოგონები — უნივერსიტეტების 20 წლის სტუდენტები. პოლიციელის უნიფორმას შეადგენს მოკლე შავი ფერის შარვლები, პერანგი მოკლე მკლავებითა და წითელი ბერეტი ლიბანის პოლიციის სიმბოლიკით.

ქალაქის მერის გადაწყვეტილებამ ორად გაყო როგორც ადგილობრივი მცხოვრებლების, ისე ინტერნეტმომხმარებლების აზრი.

— ჩემი აზრით, ეს სრულიად უადგილოა, — განუცხადა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა მძღოლმა.




— ჩვენ მსოფლიოში ყველაზე სექსუალური პოლიცია გვყავს, — განაცხადა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

**სხვადასხვა**

- დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

ლ სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამადანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# საფრანგეთს ფინალში ხორვატია შეუწყვილდა



**ხორვატია-ინგლისი 2:1 (დდ)**
მოსკოვი. ლუჟნიკები
0:1 ტრიპიერი (6), 1:1 პერიშიჩი (69), 2:1 მანძუკიჩი (109)

**ხორვატია:** სუბაშიჩი, ვრსალიკო, ლოვრენი, ვიდა, სტრინიჩი (პივარიჩი 94), რაკიტიჩი, ბროზოვიჩი, რებიჩი (კრამარიჩი 102), მოდრიჩი (ბადელი 119), პერიშიჩი, მანძუკიჩი (ჩორლუკა 115)

**ინგლისი:** პიკფორდი, უოკერი (ვარდი 112), სტოუნსი, მაგუაირი, ტრიპიერი, ლინგარდი, ჰენდერსონი (დაიერი 97), დელე ალი, იანგი (სტოუნზი 91), სტერლინგი (რეშფორდი 73), კეინი

მატჩამდე ბევრი ამბობდა, რომ ფლეი ოფის წინა სტადიებზე გადაღლილი ხორვატია ინგლისს ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. თუმცა, ზლატკო დალიჩის გუნდმა კიდევ ერთხელ გამოავლინა ხასიათი და ისტორიულ შედეგს მიაღწია. ხორვატებმა ინგლისელთა „ისტორიული ოცნებაც" დაასამარეს – ფეხბურთის ფუძემდებლებს, 1966 წლის შემდეგ, არათუ მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება, ფინალში გასვლაც კი სანატრელი აქვთ.

მესამედ ითამაშეს დამატებითი ტაიმი ხორვატებმა. არადა, მატჩი ინგლისელთათვის კარგად დაიწყო. მე-5 წუთზე კირან ტრიპიერიმ შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო დარტყმა და ინგლისი ფინალს მიუახლოვა. გარეთ საუთგეიტის გუნდმა გოლის შემდეგ უფრო მოუმატა, ბურთი ფეხთ იგდო, კონტროლი დააწესა და ნახევარი საათის განმავლობაში ხორვატებს პრაქტიკულად არაფერი გამოსდიოდათ. ტაიმის ბოლოს ბალკანელები ცოტა გონს მოვიდნენ, ხოლო შესვენების შემდეგ მოუმატეს და ინგლისელებსაც დაცვაში პრობლემები შეექმნათ. პროგნოზები გადაღლის შესახებ არ გამართლდა – უფრო ასაკიანმა ხორვატებმა სიჩქარეს მოუმატეს, ხოლო შედარებით ახალგაზრდული ინგლისი მათ ვერ ეწეოდა.

გოლი, რომელიც ივან პერიშიჩმა 68-ე წუთზე გაიტანა, მატჩის მიმდინარეობიდან ლოგიკურიც იყო. ხორვატმა მცველებს დაასწრო და ურთულესი დარტყმით შეაგდო. მალევე დუბლის გაფორმებაც შეეძლო, მაგრამ ძელს გაარტყა ბურთი.

ძირითადი დროის ბოლომდე ხორვატები უტევდნენ, დამატებით დროში კი პირველი ხიფათი ინგლისელებმა შექმნეს, მაგრამ ჯონ სტოუნზის დარტყმის შემდეგ შიმე ვრსალკომ ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. სამაგიეროდ, იგივე სტოუნზი დაცვაში ვერ გაუმკლავდა მარიო მანჯუკიჩს, რომელიც ორჯერ გაექცა მცველს და მეორედ პიკფორს გაუტანა კიდეც.

ზუსტად იგივე სცენარი, რაც მეოთხედფინალში რუსეთთან – ჩამორჩენილმა ხორვატიამ ძირითად დროში გაათანაბრა, დამატებითში წინ გავიდა, მაგრამ რუსების მსგავსად ინგლისელებმა გათანაბრება ვერ მოახერხეს და საქმე პენალტებამდე არ მისულა.

ხორვატია ფინალში საფრანგეთს შეხვდება, ხოლო ინგლისი მესამე ადგილისთვის ბელგიას გაეჯიბრება.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ივან პერიშიჩი

პერიშიჩი მაშინაც გამორჩეული იყო გუნდში, როდესაც ხორვატებს თამაში არ მისდიოდათ. როდესაც ათამაშდნენ, პერიშიჩმა თავისი დიდი წვლილი შეიტანა გუნდის გამარჯვებაში – გაიტანა გოლი და გააკეთა საგოლე პასი. მანჯუკიჩს მანამდეც შეეძლო პერიშიჩის პასით გატანა, პლუს ხორვატმა ძელს გაარტყა ბურთი. მოკლედ, ყველაზე თვალსაჩინო ფიგურა იყო ბალკანელთა შემადგენლობაში.

# საქართველო ზაფხულის თასს უმასპინძლებს

ცხელი სარაგბო ზაფხული გრძელდება საქართველოში – ივლისის ბოლოს თბილისი ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს – რაგბის ზაფხულის თასი 2018 საქართველოში პირველად იმართება. ტურნირის ორგანიზატორი საქართველოს რაგბის კავშირია და ჩვენი სურვილია, რომ ამ ასპარეზობამ ყოველწლიური ხასიათი მიიღოს.

რადგან ევროპის ტოპ-კლუბებმა მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს, არაა გამორიცხული, რომ სამომავლოდ მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდოს და, შესაბამისად, ფორმატიც შეიცვალოს.

წლევანდელი ტურნირის სპონსორები თი ბი სი ბანკი და რაგბი თივი არიან და მასში 4 გუნდი მიიღებს მონაწილეობას: ფრანგული ტოპ 14-ის გრანდი რასინგ 92, ბრაზილიის ეროვნული ნაკრები და არგენტინა 15, ხოლო მეოთხე გუნდი იქნება საქართველო 15 (ა ნაკრები, ყოფილი მზარდი საქართველო).

ტურნირი ორ ტურად – 28 ივლისსა და 3 აგვისტოს „მიხეილ მესხზე" გაიმართება.

28 ივლისს საქართველო და არგენტინის, ხოლო რასინგი ბრაზილიის ნაკრებს შეხვდება;

3 აგვისტოს რასინგი უკვე არგენტინას ეთამაშება, საქართველო კი, ბრაზილიას დაუპირისპირდება.

მოგებული გუნდი 4 სატურნირო ქულას მიიღებს და თუ გამარჯვებული მეტოქეს 3-ზე მეტ ლელოს გაუტანს, ერთ ბონუს ქულასაც მიითვლის. 7 და ნაკლები ქულით მარცხი ასევე 1 ქულად ფასობს, ხოლო ფრეზე ორივე გუნდი 2-2 ქულას ჩაიწერს.

გარდა გამარჯვებული გუნდისა, გამოვლინდებიან და დაჯილდოვდებიან ტურნირის საუკეთესო მოთამაშე, მელელოვე და მექულე.

საქართველოს, ვეტერანი ბორჯღალოსანი ბესიკ ხამაშურიძე გაწვრთნის. მას ბექა ყურაშვილი და დავით ნემსაძე დაეხმარებიან, მენეჯერი კი ლექსო იორდანიშვილია. ამ ეტაპზე გუნდი დიდი 10-ის მოთამაშეებით დაკომპლექტდება და ლეგიონერები გამოძახებული არ იქნებიან.

არგენტინის ა ნაკრებს და „იაგუარებს" თბილისში არაერთხელ უთამაშიათ. 2005, 2008 და 2009 წლებში, „ჩერჩილის თასზეც" თამაშობდა; რეგულარულად მონაწილეობს მსოფლიო რაგბის ერთა თასზე, როგორც რუმინეთში, ასევე თბილისში, ერთი თვის წინ კი ერთა თასზე ურუგვაიში ითამაშა; ასევე მონაწილეობს ამერიკის 6 ერში აშშ-ის, კანადის, ურუგვაის, ჩილესა და ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებებთან ერთად. 2009-14 წლებში ტურნირში 4 გუნდი იღებდა მონაწილეობას და არგენტინა ყველა ჯერზე ჩემპიონი გახდა. 2016 წლიდან ტურნირი 6-გუნდი გახდა და არგენტინა კვლავ პირველი იყო, წელს და შარშან კი, მეორე ადგილს დასჯერდა (ჩემპიონი აშშ გახდა).




რასინგი 92 ფრანგული ტოპ 14-ის 6-გზის ჩემპიონია. კლუბი 128 წლის წინ, 1890 წელს დაარსდა. ბოლოს ის ქვეყნის ჩემპიონი 2016 წელს გახდა. გასულ სეზონში პარიზულმა კლუბმა რეგულარული გათამაშება მეორე ადგილზე დაასრულა, თუმცა ნახევარფინალში დამარცხდა. წელსვე რასინგმა ჩემპიონთა თასის ფინალი ითამაშა და ლენსთერთან 12:15 დამარცხდა. ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ფინალში გუნდმა 2016 წელსაც ითამაშა. მაშინ მას სარასენსმა 21:9 მოუგო.

ამ გუნდის შემადგენლობაში არაერთ საერთაშორისო დონის ვარსკვლავს უთამაშია, მათ შორისაა ტესტ-მატჩების ისტორიაში საუკეთესო მექულე, ახალ ზელანდიელი დენ კარტერი. გუნდის შემადგენლობაში არიან ფრანგები: დიმიტრი შარჟევსკი, მაქსიმ მოშენო, ჰენრი ჩავენსი, ვირიმი ვაკატავა და ბერბარდ ლე რუ, ფიჯელი ლეონე ნაკარავა და ბენ ვოლავოლა, სამხრეთ აფრიკელი პეტ ლემბიე, შოტლანდიელი ფინ რასელი, არგენტინელი ხუან იმჰოფი, ზელანდიელი ჯო როკოთოკო, ირლანდიელი საიმონ ზიბო და სხვა.

რასინგში თამაშობს ქართველი ბურჯი ვასილ კაკოვინი. სხვადასხვა დროს ამ კლუბის ღირსებას იცავდნენ ბორჯღალოსნები დავით ხინჩაგიშვილი, გიორგი ჩხაიძე და მამუკა მაგრაქველიძე.

ზაფხულის თასს რასინგი მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავს.

ბრაზილიის ნაკრები ბოლო წლებში საგრძნობ პროგრესს განიცდის, განსაკუთრებით 7-კაცა რაგბში. 15-კაცა ნაკრები მოცემული მომენტისთვის მსოფლიო რეიტინგში 26-ე ადგილზეა. გუნდი რეგულარულად მონაწილეობს ამერიკის 6 ერში და მსოფლიო რაგბის დახმარებით, უკანასკნელ წლებში რეგულარულად მართავს მაღალი დონის ტესტ-მატჩებს.

# ხელბურთელები ევროპირველობისთვის ემზადებიან



ევროპის ჩემპიონატის წინ მოსამზადებელ ეტაპზე ბოლო სამი ამხანაგური მატჩი გამართა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ხელბურთში. ოლიმპიურ სასახლეში ჩვენი გუნდი ორჯერ დამარცხდა ისრაელთან 27:33, 22:29, ხოლო შემდეგ 43:31 მოუგო საქართველოს უმცროსი ასაკის, 18-წლამდელთა ნაკრებს.

ისრაელის ამ ასაკის, 1998 წლებში დაბადებულთა ნაკრები სერიოზული გუნდია. 2 წლის წინ მოიგეს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი, მეორე დონის ტურნირი ლიტვაში და 2018 წლისთვის უძლიერეს 16 გუნდს შორის, ჩემპიონის ტიტულისთვის ითამაშებენ.

საბოლოო შემადგენლობა ამ დღეებში გამოცხადდება, 18 ივლისს კი ნაკრები მონტენეგროში გაემგზავრება. 20-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის პირველი შეხვედრა 20 ივლისს აქვს პოდგორიცაში, მასპინძელ, ჩერნოგორიის გუნდთან. შემდეგი თამაში სლოვაკეთთან უწევთ, მერე ლატვიას გაეჯიბრებიან, ხოლო ჯგუფის ბოლო შეხვედრას თურქეთთან გამართავენ.

## შედეგები

11 ივნისი
ფეხბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-ინგლისი | 2;1(დდ) |

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ასტანა-სუტიესკა | 1:0 |
| ტრნავა-ზრინსკი | 1:0 |
| იურმალა-ცრვენა ზვეზდა | 0:0 |
| სუდუვა-აპოელი | 3:1 |
| კუკესი-ვალეტა | 0:0 |
| ლუდოგორეცი-კრუზეიდერსი | 7:0 |
| ოლიმპია-ყარაბაღი | 0:1 |
| ვალური-რუსენბორგი | 1:0 |

**უეფას ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| ბანანცი-სარაევო | 1:2 |
| რაბოტნიჩკი-ჰონვედი | 2:1 |
| ვადუცი-ლევსკი | 1:0 |
| კლაკსვიკი-ჟალგირისი | 1:2 |
| ფოლა-პრიშტინა | 0:0 |
| გლენოვანი-მიოლდე | 2:1 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ზიდანის ტრანსფერის საგა



კრიშტიანუ რონალდუ მალე იუვენტუსის სრულუფლებიანი წევრი გახდება. ეს ტრანსფერი მადრიდის რეალიდან ტურინში საკმაოდ მარტივად მოგვარდა. ამ გუნდებს შორის ბევრი ტრანსფერი გაჩარხულა, მაგრამ ერთი, ზინედის ზიდანის გადასვლა იუვენტუსიდან რეალში, ყველაზე ჩახლართული იყო.

რა იყო ამის მიზეზი? რეალს ძალიან უნდოდა ზიდანი, მაგრამ არც იუვენტუსს ეთმობოდა. მოკლედ მივყვეთ და გავიხსენოთ ზიდანის ტრანსფერის ისტორია.

– რატომ მიდის ზიდანი? პასუხი მარტივია. პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მას წასვლა სურს. მეორე იმიტომ, რომ ფლორენტინო პერესის სურვილია მისი მადრიდში გადაყვანა. პერესი ყოველთვის ცდილობს, საკუთარი სურვილები რეალობად აქციოს. ამაზე უარესად იქცეოდა, როდესაც ფიგუს ყიდულობდა, – თქვა ლუჩანო მოჯიმ, როდესაც ზიდანის გადასვლას წინ უკვე აღარაფერი ედგა.

პერესის ცუდი ქცევა, რომელზეც ლუჩანო მოჯიმ ისაუბრა, ზიდანის გადასვლამდე 11 თვით ადრე დაიწყო. უეფას სუპერთასი მაინცდამაინც დიდი ავტორიტეტით ვერ დაიკვეხნის, ხოლო 2000 წლის ტრადიციული მატჩისწინა ვახშამი, თამაშზე მნიშვნელოვანი გამოდგა. მაშინ ფლორენტინო პერესი პირველად შეხვდა ზიზუს. პერესი ახალი დანიშნული იყო რეალის პრეზიდენტის პოსტზე და მისი პირველი მოქმედება, რითაც ლა ლიგაში თავისი მისვლა აცნობა ყველას, ეს იყო ლუიშ ფიგუს ტრანსფერი. პორტუგალიელი პირველი იყო 2 სუპერტრანსფერიდან, მეორე იყო – ზიზუ. მონაკოში პერესი პირადად გაემგზავრა, რათა ზიდანს შეხვედროდა და მასთან ელაპარაკა, მაგრამ მაგიდასთან კიდევ 40 ადამიანი აღმოჩნდა.

ამიტომ, საჭირო გახდა იმპროვიზაცია. პერესმა აიღო ხელსახოცი და ფრანგულად დაუწერა: – გსურს ითამაშო რეალში? შემდეგ პერესი მიუბრუნდა გვერდზე მჯდომს და უთხრა: – ეს ზიდანისთვის. წერილი ზიზუს გადასცეს. ფრანგმა პერესს ინგლისურად უპასუხა – დიახ. მაგრამ პრობლემა ზიდანში არ იყო. ვახშმამდე პერესს უკვე გადადგმული ჰქონდა ნაბიჯი ამ ტრანსფერისკენ, მაგრამ მის ძმას იუვენტუსმა კატეგორიული უარი განუცხადა. ახლა, როდესაც მას ზიდანის თანხმობა აქვს, კოზირის დრო მოვიდა. საქმეში ალენ მილიაჩო ჩაერთო.

ალენ „ბოს" მილიაჩო – მან შექმნა საფეხბურთო აგენტის პროფესია, რომელიც კარგად მუშაობდა საფრანგეთის სატრანსფერო ბაზარზე. მუშაობდა ერიკ კანტონასთან და ლორან ბლანთან, იყო ზიდანის აგენტი. მოგვიანებით, მუშაობდა ყველასთან, ვისაც ახალ ზიდანს უწოდებდნენ: გურკუფთან, მენეზთან, ნასრისთან, რიბერისთან. 1998 წელს კონტრაქტის წესების დარღვევის გამო, 1.4 მილიონი ფრანკით დააჯარიმეს და 10 წელი მიუსაჯეს. ამის შემდეგ ესპანეთში გადავიდა, სადაც 2012 წელს ფინანსური მაქინაციების გამო, 5 წელი მიუსაჯეს და 9 მილიონი ევროთი დააჯარიმეს.

ტურინში ზიდანის მიმართ სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ. ჯანი ანიელის ფავორიტთა სიაში ალექს დელ პიერო შედიოდა. 1996 წელს ლეგენდარულ პრეზიდენტს ეჭვიც კი ჰქონდა, რომ ზიდანი იუვეს თავს ვერ გაართმევდა. მან ტრანსფერის შემდეგ თქვა:

– ჩვენ ზიდანი ვიყიდეთ იმისთვის, რომ ალჟირსა და მარსელში უფრო მეტი „ფიატი" გავყიდოთ.

საქმე რომ მარტო ანიელიში ყოფილიყო, ეს მოლაპარაკებები თითქმის 1 წელს არ გაიწელებოდა. მაგრამ ზიზუს ლუჩანო მოჯი იცავდა, რომელიც თავის კარიერაში საუკეთესო ტრანსფერად ასახელებდა ფრანგის გადმოყვანას. ამრიგად, მოლაპარაკება მოჯისთან უნდა გაემართათ, ეს კი პრობლემა იყო.

ლუჩანო „ლაკი ლუჩანო" მოჯი – მან აიაქსს აიძულა, რომ იბრაჰიმოვიჩი გაეყიდა, შექმნა კონფლიქტი იბრასა და ვან დერ ვაარტს შორის. გამოიწვია აურზაური ნედვედის ლაციოდან ტრანსფერზე, რათა მას იუვენტუსი აერჩია და არა მანჩესტერი. უშვებდა მარადონას დოპინგ ტესტზე. ერთხელ, ჯიუტი მსაჯი ოთახშიც კი ჩაკეტა. „კალჩოპოლის" შემდეგ, ის სამუდამოდ ჩამოაშორეს ფეხბურთს. ლუჩანოს უწოდებენ მანიპულატორს, ეშმაკს, ადამიანების მმართველს.

მოჯის რეალის სურვილები არ მოეწონა. ზიდანის გაყიდვა იუვეს გეგმებში არ შედიოდა, ამიტომ მეორე „ეშმაკი" მილიაჩო, სხვა მხრიდან მიუდგა ამ ყველაფერს. აგენტი ძალიან ბევრს ესაუბრებოდა ზიდანის მეუღლეს, ვერონიკას: მოუყვა მადრიდში კომფორტულ ცხოვრებაზე, ცენტრისგან არც ისე მოშორებით, მშვიდ რაიონზე. მზიანი ევროპული დედაქალაქი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ლევანდოვსკი ბაიერნში რჩება, რებიჩი მიუნხენისკენ მიიწევს



რობერტ ლევანდოვსკიმ, რომელიც უკვე დიდი ხანია ფიქრობს კლუბის დატოვებაზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო და მიუნხენის ბაიერნში რჩება.

29 წლის პოლონელ შემტევს ბაიერნის დატოვება მსოფლიო ჩემპიონატის მერე ჰქონდა დაგეგმილი, მაგრამ მუნდიალზე მისმა არაშთამბეჭდავმა გამოსვლამ მისი სატრანსფერო ღირებულება დააგდო და მსურველებმაც უკან დაიხიეს. ამასთან, ბაიერნის გეგმებშიც არ შედიოდა რობერტის გაყიდვა. პოლონელს და მის აგენტს კი სხვა კლუბის მოძებნა გაუჭირდათ.

გერმანული გამოცემების ცნობით, ლევანდოვსკის აღარ სურ მიუნხენური კლუბის დატოვება და აპირებს ნანატრი ჩემპიონთა ლიგის ტიტული, სწორედ ამ კლუბთან ერთად მოიგოს.

რობერტ ლევანდოვსკის ბაიერნთან კონტრაქტი 2021 წლამდე აკავშირებს.

ფრანკფურტის აინტრახტისა და ხორვატიის ეროვნული ნაკრების შემტევს, ანტე რებიჩს, რომელიც ნაკრებშიც და კლუბშიც კარგ სეზონს ატარებს, მსურველები ინგლისშიც გამოუჩნდა. რებიჩს კი მუშაობის გაგრძელება მის ყოფილ მწვრთნელთან, ნიკო კოვაჩთან სურს, რომელიც ამჟამად მიუნხენის ბაიერნის თავკაცის რანგში გვევლინება.

24 წლის ხორვატი ფეხბურთელისადმი ინტერესს იჩენენ ინგლისური და იტალიური გუნდები: მანჩესტერ იუნაიტედი, ტოტენჰემი, არსენალი და ნაპოლი, მაგრამ რებიჩს არ სურს ამ კლუბებში თამაში. ანტეს თანამშრომლობის გაგრძელება ნიკო კოვაჩთან სწადია. სწორედ ის ხელმძღვანელობდა აინტრახტში რებიჩს და კომპანიას.

თავად რებიჩი მიუნხენური კლუბის რადარზეა და მასთან მოლაპარაკებებს მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაიწყებს. ხორვატ ფეხბურთელსა და აინტრახტს შორის ხელშეკრულებას ვადა 2021 წლის 30 ივნისს ეწურება. მისი სატრანსფერო ღირებულება კი 50 მილიონ ევროს შეადგენს.

რებიჩი ამჟამად რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობს და ხორვატიის ეროვნულ ნაკრებს, ფინალური საგზურის მოპოვებაში მნიშვნელოვნად დაეხმარა.

# დედა წყალში გადახტა და ნიანგს შვილი გამოსტაცა



ინდონეზიის აღმოსავლეთ ტანჯუნგ-ჯაბუნგის ოლქში ქალმა შვილი გადაარჩინა, რომელიც ნიანგმა გაიტაცა. რეპტილია 11 წლის იადი პუტრუს თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ბიჭი მდინარესთან წყლის ასაღებად მივიდა. ნიანგმა ბავშვს პირი ფეხში სტაცა და წყლისკენ წაათრია. ბიჭის დედამ, 37 წლის რასიმმა, რომელიც სოფელში იმყოფებოდა, ყვირილი გაიგონა და შვილის დასახმარებლად გაიქცა.

იმ დროისთვის, როდესაც ქალმა ადგილზე მიირბინა, ბიჭი ნაპირიდან 15 მეტრში იმყოფებოდა. ქალი წყალში გადახტა და მისკენ გაცურა.

– როდესაც მასთან მივცურდი, ნიანგმა ბავშვს პირი გაუშვა და მიიმალა, – ამტკიცებს ბავშვის დედა, – იმ დროს მე სულაც არ მაღელვებდა იმაზე ფიქრი, რომ იქ შესაძლოა სხვა ნიანგებიც ყოფილიყვნენ, რომლებიც შესაძლოა მე დამსხმოდნენ თავს. მთელი ჩემი ფიქრი მხოლოდ შვილის გადარჩენისკენ იყო მიმართული.

ბავშვი საავადმყოფოში მრავლობითი დაზიანებებით გადაიყვანეს. მას განსაკუთრებით მარცხენა ფეხი აქვს დაზიანებული, რომლითაც მტაცებელი მიათრევდა.

პროვინციის ბუნების დაცვის სააგენტომ შემთხვევის ადგილზე სპეციალისტების ჯგუფი გაგზავნა. ისინი ბავშვზე თავდამსხმელი ნიანგის დაჭერას და სხვა ადგილზე გადაყვანას გეგმავენ.

# ბარსელონამ და რაბიომ სიტყვიერი პირობები შეათანხმეს



ერიკ აბიდალისა და პეპ სეგურას პარიზული ვიზიტი წარმატებულად დასრულდა – ბარსელონა და ადრიენ რაბიო პირობებზე შეთანხმდნენ. ფეხბურთელს სამი ძირითადი მოთხოვნა ჰქონდა:

5-წლიანი კონტრაქტი; ხელფასის სახით, თვეში 600.000 ევრო; საყრდენი ნახევარმცველის პოზიციის ნაცვლად, ე.წ. 8-იანზე თამაში.

ბარსელონასთვის ფეხბურთელის მოთხოვნები მისაღები აღმოჩნდა. ახლა კატალონიელებმა პსჟ-სთან უნდა მოილაპარაკონ. პარიზელებს რაბიოსთან კონტრაქტის გახანგრძლივება სურთ, მაგრამ ვინაიდან ეს სურვილი ცალმხრივია, დიდი შანსია, ბარსელონას შეთავაზებას დათანხმდნენ.

შეგახსენებთ, 23 წლის ნახევარმცველი მომავალ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება, რაც აიძულებს პსჟ-ს, ნაკლებად ჯიუტი იყოს მოლაპარაკებებში.

# ავტობუსი სუნიანი ფეხსაცმლის გამო გადაბრუნდა

კენიაში ავტობუსი ავარიაში უსიამოვნო სუნის მქონე ფეხსაცმლის გამო მოყვა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

თვითმხილველთა თქმით, ავტობუსი, რომელიც ნაირობიში მიდიოდა, გზიდან გადავიდა და გადაბრუნდა. ამის შედეგად 42 მგზავრი, მათ შორის 11 ბავშვი დაშავდა. მათ სხვადასხვა სახის ტრავმები მიიღეს და საავადმყოფოში იქნენ გადაყვანილნი. ერთი ადამიანი დაიღუპა, ორი კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფება. ავტობუსის მძღოლი და კონდუქტორი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, მათ პოლიცია ეძებს.

ერთ-ერთი დაშავებული ამტკიცებს, რომ ავარიამდე მძღოლი მექანიკოსს უსიამოვნო სუნის მქონე ფეხსაცმლის გამო ეჩხუბებოდა.

– ავტობუსის მექანიკოსმა მძღოლს ფეხსაცმელზე ასუნებინა, ეს იყო ბოლო, რაც დავინახე, – აცხადებს დაშავებული მგზავრი, – ამის შემდეგ ავტობუსი გადაბრუნდა და გონს საავადმყოფოში მოვედი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



# ზიდანის ტრანსფერის საგა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ესპანეთში პერესთან ერთად, ალენი მოლაპარაკებების კონცეფციას ამუშავებდა, იტალიაში მუდმივად ახსენებდა საკუთარ თავს იუვეს ხელმძღვანელობას. აგენტს ყოველთვის არ უშვებდნენ ბაზაზე, მიუხედავად იმისა, რომ იქ მისი კლიენტი იმყოფებოდა.

2001 წლის გაზაფხულზე ზიდანი ლიონში გაემგზავრა, სადაც მილიაჩო, პერესი და ვალდანოც ჩაფრინდნენ. პაპარაცებისთვის თავი რომ აერიდებინათ, ოთხეული იქვე სენტ-ეკზიუპერის აეროპორტში დარჩნენ. შეიკრიბნენ პატარა ოთახში უამრავი დოკუმენტით ხელში. ზიზუ ფულზე არ საუბრობდა, მას რეალი აინტერესებდა. იუვენტუსი არასდროს აკავებს იმ ადამიანს, ვისაც სხვა კლუბში წასვლა სურს. იუვეს დევიზი ასეთია – სინიორას სჭირდება მხოლოდ ისინი, ვისაც სჭირდება სინიორა.

ზიდანის სურვილი გადამწყვეტი იყო. პლუს, მილიაჩო მოჯის ადვოკატზე, პაკო დონოფრიოზე გავიდა. დიდი ავტორიტეტის მქონე იურისტმა ლუჩანოზე გავლენა მოახდინა, რის შემდეგაც, იუვენტუსში მოლაპარაკებებს დათანხმდნენ. ახლა კი საქმე თანხაში იყო. სადაც პრობლემაა თანხაზე, იქ პერესისთვის პრობლემას არაფერი წარმოადგენს.

ფლორენტინო „მიდას" პერეს – ჭკვიანი ადამიანი, მეორე კურსზე ისეთი საკურსო პრეზენტაცია დაამზადა, რომ ლექტორმა დამხმარედ აიყვანა. ის 2000 წელს რეალის პრეზიდენტი გახდა, როცა ყველამ იცოდა, რომ კლუბს ძალიან დიდი ვალი ჰქონდა – 240 მილიონი ევრო. ეს ვალი ერთი გარიგებით უგულებელყო – გაყიდა არასაჭირო სავარჯიშო მოედანი მადრიდის ცენტრში, იყიდა არაერთი ვარსკვლავი, მოგვიანებით იყიდა ხამეს როდრიგესი, მიზნით, რომ გზა გაეკვალა კოლუმბიაში. ნავასის შეძენით, კავშირი დაამყარა კოსტა-რიკასთან. პრინციპული, მებრძოლი და სტრატეგი.

იუვე 120 მილიონს ითხოვდა, ხოლო რეალი 60 მილიონზე მეტს არ სთავაზობდა. იუვემ მაკელელე მოითხოვა, ხოლო რეალმა კონსეისაო შესთავაზა. შეთანხმდნენ 73.5 მილიონ ევროზე – რაც დღეს 315 მილიონს უდრის. 8 წლის შემდეგ, პერესი იტყვის:

– ზიდანი 73 მილიონი ევრო ღირდა და ჩემს კარიერაში, ეს ყველაზე იაფი ტრანსფერი იყო.

ასეც არის... კიდევ გავა წლები და ზიზუ რეალს ზედიზედ 3 ჩემპიონთა ლიგას მოაგებინებს... ამჯერად, მწვრთნელის ამპლუაში. მართლაც ყველაზე იაფი ტრანსფერი გამოდგა...

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ასტროპროგნოზი

## 13 ივლისისთვის



**ვერძი** – კოლექტიური მუშაობისათვის იღბლიანი დღეა. შედეგით აღფრთოვანებული დარჩებით. ახალი ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. **კურო** – გელით რომანტიკული მოგზაურობა, დასამახსოვრებელი და სასიამოვნო ახალი ნაცნობობა. კეთილისმყოფელი, მშვიდი დღეა. **ტყუპები** – აქტიური დასვენება გუნებაგანწყობას გამოგიკეთებთ. ნებისმიერ საქმეს მარტივად და ძალდაუტანებლად აკეთებთ. **კირჩხიბი** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის აღმავლობით გამოირჩევა. მოვლენებს ახლებურად აღიქვამთ. **ლომი** – ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. იკვებეთ სრულფასოვნად. იმსჯელეთ ფილოსოფიურად. **ქალწული** – პრობლემას, რომელიც ადრე რთული გეჩვენებოდათ, დღეს საკმაოდ იოლად გადაჭრით. ახლობლებისგან ფინანსური დახმარების იმედი იქონიეთ. **სასწორი** – შინაგანი ძალები გემატებათ. კეთილისმყოფელი დღეა ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. **ღრიანკალი** – მშვიდად ხართ. პლანეტები გმფარველობენ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად ეს დღე შეუფერებელია. **მშვილდოსანი** – აქტიური დასვენება სასიკეთოდ წაგადგებათ. გელით სასიამოვნო შეხვედრა. **თხის რქა** – შესაძლოა, თქვენი ნებისმიერი ქმედება თქვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებდეს. ემოციების გამოხატვისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **მერწყული** – მიზანი დაისახეთ და განახორციელეთ. ვარსკვლავები ყოველმხრივ გეხმარებიან. მოთმინება და თავშეკავებულობა დღის დევიზია. **თევზები** – სახიფათო დღეა. ცრუ ინფორმაცია ყველაფერს ცვლის. იფრთხილეთ ქუჩაში მოძრაობისას.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. ქართული ხალხური ცეკვა; 2. მამაკაცთა თავშეყრის ადგილი სოფლად; 3. ერთი და იგივე ქიმიური ელემენტის არსებობა სხვადასხვა მარტივი ნივთიერების სახით; 4. ქვის ხანის უკანასკნელი ეპოქა; 5. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 10. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 11. სპორტის სათამაშო სახეობა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ფასიანი ქაღალდის კურსის დაწევა; 16. რაიმე საგნის, მოვლენის ძირითადი თვისებების დამახასიათებელი სიდიდე; 17. სამცხის მმართველთა საგვარეულო; 19. ადგილმდებარეობის ამა თუ იმ წერტილის სიმაღლე ზღვის დონიდან; 21. იაპონელი მოდელიერი; 23. შაქრით, ჩაისა და ლიმონის წვენით შეზავებული ცხელი რომი.

**თარაზულად**: 6. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 7. ჰაგიოგრაფიული თხზულება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრები"-ს ავტორი; 8. ღვინის საბატონო გადასახადი ძველად საქართველოში; 9. კამათის, პაექრობის ხელოვნება; 14. ბალნეოლოგიური კურორტი სომხეთში; 15. საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი; 18. ლუდის სასმისი; 20. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 22. ეგვიპტელი ქრისტიანები; 24. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 25. ფრანგული ლიქიორი; 26. იაპონური ელექტროტექნიკური კონცერნი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კაზუისტიკა; 2. ზუროსი; 3. თურინჯი; 4. ხირსა; 5. კლირინგი; 6. ვოლვო; 7. ჰილტონი; 9. ფაველა; 13. ლოიდი; 17. ელია; 18. ჩაი.

**თარაზულად:** 1. კამბუზი; 3. თაბახი; 8. ილიონი; 10. ბოქსიტი; 11. ფიჭვი; 12. ჩამპინო; 14. ატელიე; 15. ხრიდოლი; 16. გრემი; 19. ჩედერი; 20. ჰამლეტი; 21. ახტალა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კრიკინა; 2. ალბორადა; 3. სტივიდორი; 4. ნანსენი; 5. ციცინათელა; 10. კახასა; 11. ერისიონი; 12. ნესტანი; 13. ბომბორა; 16. ჰართფილდი; 17. პოლონეზი; 19. ირლანდია; 21. ცირკი; 23. ნაიკი.

**თარაზულად:** 6. ტროგლოდიტი; 7. ლაკმუსი; 8. გიშერი; 9. სინოპეკი; 14. გორდონსი; 15. კუსტურიცა; 18. პენსი; 20. კობზარი; 22. ვანდომი; 24. მიოპია; 25. გლიპტიკა; 26. ჯაკუზი.

# დაიდგას თბილისში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი!




ამ მოთხოვნით დედაქალაქის მცხოვრებლები გამოდიან და ხელმოწერების შეგროვებასაც გეგმავენ.

პროექტის „შენი იდეა ქალაქის მერს“ ფარგლებში მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლის თბილისში დადგმის ინიციატივა გიორგი შალამბერიძემ გააჟღერა:

– თბილისში არ დგას გენიოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის ძეგლი. აი, ასე დაფასდა მიხეილ ჯავახიშვილის ღვაწლი. რამდენიმე ათეული წელია ასე დევს ეს ქვა პეკინის გამზირზე, ბუკიას ბაღთან.

# პირველად თბილისში ბელორუსის მოზარდ მაყურებელთა თეატრი ჩამოვა




პირველად ბელორუსის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო აკადემიური თეატრი თბილისში გასტროლს გამართავს.

ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი ოქტომბერში ბელორუსის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასს უმასპინძლებს.

ძველი ზღაპარი თანამედროვე ბავშვებისთვის ბელორუსის თეატრალური დასი 5, 6, 7 ოქტომბერს შარლ პეროს „ჩექმებიან კატას“ წარმოადგენს.

ბილეთების გაყიდვა უკვე დაწყებულია.

სექტემბრის ბოლოს კი ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრი საგასტროლო სპექტაკლებით „რწყილი და ჭიანჭველა“ და „ღამე და თუთიყუში“ ბელორუსში გაემგზავრება.

# სამგლოვიარო განცხადებები

უახლოესი მეგობრები – ალეკო ხუნდაძე, რეზო ჭკუასელი, არჩილ მელუა, ნოდარ ჭეიშვილი, მიშა სავიცკი, ვახტანგ მგელაძე, მიხო ბოჭორიშვილი, სოსო კუხიანიძე, რობერტ აკოფოვი დიდი გულისტკივილით ვაუწყებთ საზოგადოებას და ვუსამძიმრებთ ავთო რამიშვილს მეუღლის

**მერი კორაშვილის**

გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 14 ივლისს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას VI კვარტალი, 1 ბ კორპუსი.

## დალი ჩიკვაიძე-ზაქარიაშვილის

### მონატრება



15 ივლისს ერთი წელი გისრულდება, რაც ჩვენთან აღარ ხარ, რაც გაუსაძლისია მთელი შენი ოჯახისთვის, განსაკუთრებით კი მეუღლისთვის.

ვერანაირი დრო ვერ კურნავს იმ თავზარდაცემას, რაც გასული წლის 15 ივლისს დაგვატყდა თავს. დრო მკურნალიაო, მაგრამ თითოეული დღე, წუთი და წამიც კი აუტანელია. თურმე რა ბედნიერი ყოფილა შენი მეუღლე შენ გვერდით ყოფნისას. ეს ერთი წელი უშენოდ ჩემთვის გაუსაძლისი იყო, უშენობას ვერანაირად ვერ ვეგუები. სულ შენს მოლოდინში ვარ, კარი რომ გაიღება შენ მგონიხარ. ვიხსენებ ერთად გატარებულ წლებს, თვეებს, დღეებსა და წუთებსაც კი. თურმე რა ბედნიერი ვყოფილვარ, შენი მოულოდნელი წასვლით კი გამანადგურე.

იშვიათია ისეთი კეთილშობილი და ზნეობრივი თვისებებით შემკული ქალი, როგორიც შენ იყავი, ჩემო დალი – თბილი, წყნარი, დინჯი, აუჩქარებელი. თანამშრომლებზე, მეგობრებსა და ოჯახზე გადაყოლილი, მზრუნველი, სტუმართმოყვარე შესანიშნავი დიასახლისი.

ყველას გვენატრება შენი სათნო ღიმილი, გვაკლიხარ, აუტანლად გვიმძიმს უშენობა, განსაკუთრებით მოულოდნელად მიტოვებულ, უშენობით გაუბედურებულ შენს მეუღლეს ომარს. შენი სურათები ყველა ოთახში გვიცინის, შენს საწოლთანაც გვიდევს შენი სურათები და ნივთები (ცხვირსახოცი, მობილური ტელეფონი და კაბა, რომელშიც სული დალიე).

ყოველ დილით დავდივართ შენს საფლავზე (ამ ერთი წლის მანძილზე არც ერთი დღე არ გამოგვიტოვებია) ყვავილებით, სანთლით, საკმევლით. სანამ ცოცხალი ვიქნები, არ მოგაკლებ მიცვალებულისთვის განკუთვნილ ყველა რიტუალს. ყოველდღე ვეფერებით შენს მომღიმარ სურათს და გლოცავთ. ნათელში ამყოფოს შენი სული სამუდამო სასუფეველში. უსაზღვროდ გვიყვარხარ, გვენატრები და გვაკლიხარ.

*შენი უდროოდ, მოულოდნელი წასვლით დამწუხრებული შენი დიდი ოჯახი და უშენობით დატანჯული მეუღლე ომარი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# მიხეილ გიორგაძე მინისტრი აღარ არის



კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე თანამდებობას დაემშვიდობა.

მას შემდეგ, რაც ახალმა პრემიერ-მინისტმა მამუკა ბახტაძემ კულტურისა და სპორტის სამინისტროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეერთების გადაწყვეტილება მიიღო, მიხეილ გიორგაძის თანამდებობაზე დარჩენის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ აღმოჩნდა.

პრემიერმა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრად მიხეილ ბატიაშვილი წარადგინა.

როგორც ახალმა მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, განათლება, მეცნიერება, კულტურა და სპორტი ის სფეროებია, რომლებიც ხელს უნდა უწყობდეს ადამიანური კაპიტალის ჩამოყალიბებას და განვითარებას, ამიტომ მიხეილ ბატიაშვილი ძირეულ ცვლილებებს და რეფორმების გატარებას იწყებს.

# გიორგი კეკელიძე რუსეთთან დაკავშირებულ განცხადებაზე განმარტებას აკეთებს



მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე რუსეთის ნაკრების მსოფლიო ჩემპიონატიდან გავარდნასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებაზე განმარტებას აკეთებს:

– დავწერე: „გილოცავთ რუსეთის გავარდნას მსოფლიო ჩემპიონატიდან! გილოცავთ იმასაც, რომ ჩვენს ქუჩებში რუსული დროშებით მორბენალ და მოზეიმე „ტურისტებს“ ვეღარ ვნახავთ იმ ქუჩებში, სადაც ათი წლის წინ მათ ბომბებს ვემალებოდით!“

იყო რამდენიმე კომენტარი, სადაც ამბობდნენ, რომ სპორტი და პოლიტიკა სხვადასხვაა, იყო რამდენიმე კიდევ უფრო მძაფრი და საგანგაშო. მე ამ აზრების გამომთქმელებსაც მშვიდად ვესაუბრები. აქ, ამ სივრცეში ნაკლებად ვლაპარაკობ, მაგრამ ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ სიარულისას, მხვდება ზოგი ამგვარი ფიქრისაც და იქ უმეტესჯერ ვიმარჯვებ და ვარწმუნებ, არა გიორგი კეკელიძის რამენაირი სიძლიერის გამო, ცხადია.

უბრალოდ, ეს ამბავია მართალი. ამბავი ორასწლიან და დაუსრულებელ ოკუპაციაზე. გუშინ დახოცილ ოცნებებზე. ის გოგონა, დამოუკიდებლობის დარბაზის სიღრმიდან, სურათიდან რომ გვიყურებს, სხვა რამეს ითხოვს. დამოუკიდებლობის დარბაზი სწორედ ამ თხოვნის თუ მოთხოვნის გამო გავხსენით.

დააკვირდით შესასვლელთან იატაკს. იქ საბჭოთა ოკუპაციის წლებია. სანამ დარბაზში შეხვალ, ფეხი უნდა დაადგა. მარო მაყაშვილის გამო. შენს გამო. ჩემ გამო. მის გამო. ეს ადვილი ნაბიჯი არ არის, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია. მე მიხარია, რომ ბევრი მიყვება ამ გზას.

# ნინო ქათამაძე ვარკეთილში კონცერტს გამართავს

ნინო ქათამაძე და ჯგუფი „ინსაითი“ პროექტის „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში კონცერტს გამართავს.

13 ივლისს ღონისძიება ვარკეთილი 3-ის, პირველ




მიკრო-რაიონში, მედიათეკის მიმდებარე სკვერში ჩატარდება და მასზე დასწრება თავისუფალია.

პლატფორმა „თბილისის ცის ქვეშ“ ყველა დაინტერესებულ პირს აძლევს საშუალებას, რომ საკუთარი იდეები ღია ცის ქვეშ ახლებური ხედვით განახორციელოს.

პროექტის მიზანია კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა, ქალაქის ცხოვრების გამრავალფეროვნება, უქმე დღეებში მწვანე სივრცეებში დასვენების კულტურის ჩამოყალიბება, კულტურული და შემოქმედებითი ინდუსტრიის განვითარება, მულტიდისციპლინური პროექტების ხელშეწყობა, ახალი ტალანტების აღმოჩენა და მათი მხარდაჭერა. „თბილისის ცის ქვეშ“ ფარგლებში, შემდეგი ღონისძიება ვაკის პარკში გაიმართება. მსმენელის წინაშე ამსტერდამის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ორკესტრი წარდგება.

# გელა დაიაური ტრაგიკულად დაღუპულ შვილს 10 წლის იუბილეს ულოცავს



პოეტ გელა დაიაურს ავტოკატასტროფამ ერთდროულად სამი საყვარელი ადამიანი წაართვა, მეუღლე მომღერალი თეონა ქუმსიაშვილი და 2 ბიჭი.

გელა დაიაურს წლებია სამ სევდასთან და სამ ტკივილთან უწევს გამკლავება. წელს მისი პირველი შვილი დემეტრე 10 წლის გახდებოდა. პოეტმა თავის პირველ შვილს იუბილე საჯაროდ მიულოცა:

– სამი სევდა და სამი ტკივილი ძალიან ძნელი ყოფილა გასაძლებად, ჩემო ვაჟო... ყოველდღე მტკივა, მაგრამ, როცა უნდა მეზეიმა, ის დღეები ჯოჯოხეთად მექცა..

თუმცა მეიმედება, მანდ ანგელოზებად ხართ უფალთან და ღვთისმშობელი გფარავთ თქვენს დედიკოსთან ერთად ... აქ მე უფრო ვერ მოგივლიდი ისე კარგად ...

10 წლის იუბილეს გილოცავ, დემე... ჩემო პირველო გამხარებელო და სიტყვა „მამიკოს“ პირველად მთქმელო. მიყვარხარ და მენატრები.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# საუდის არაბეთის ცრუ პრინცი 30 წელი ყველას ასულელებდა, მაგრამ ღორის ხორცის სიყვარულმა ამხილა



ახალი ინფორმაცია გავრცელდა ამერიკელ თაღლითზე, რომელიც დაახლოებით 30 წელი თავს საუდელ პრინცად ასაღებდა, სანამ ის ღორის ხორცის სიყვარულმა არ გასცა.

47 წლის ენტონი ჟინიაკი კოლუმბიაში დაიბადა, მაგრამ ამერიკელების ოჯახმა იშვილა და აშშ-ში გაიზარდა. 2008 წელს ის თაღლითობისთვის გაასამართლეს, ვინაიდან მან სასტუმრო და კიდევ რამდენიმე კომპანია 10 ათასი დოლარით დააზარალა. უკვე მაშინ ის თავს პრინცად ასაღებდა და გარშემომყოფთ ასულელებდა.

პროცესის დროს გაირკვა, რომ ადამიანებით ის გამოგონილი პიროვნებით 1991 წლიდან მანიპულირებდა. მას უკვე ჰქონდა პენტჰაუსი მაიამიში და უამრავი მდიდრული ავტომობილი. ამ საქმეებით მან გირაოს გადახდით თავისუფლების მოპოვება მოახერხა.

ბოლო ეპიზოდი, რომელიც საქმის სასამართლო განხილვამდე მივიდა, 2017 წლის მარტში მოხდა. ჟინიაკის ერთ-ერთი თანაშემწე ამერიკელ დეველოპერ ჯეფი საფერს დაუკავშირდა. მან აცნობა, რომ საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრე პრინცს სურდა, საფერის კურორტში 440 მილიონი დოლარი დაებანდებინა.

ამერიკელმა დაიჯერა და პრინცი სტუმრად მიიწვია. თაღლითი მასთან დიპლომატიურ ნომრებიანი ახალთახალი ფერარით მივიდა (როგორც მოგვიანებით გაირკვა, ის ჟინიაკმა ინტერნეტ-აუქციონით შეიძინა). აგვისტოში უკვე თავად საფერი სტუმრობდა ჟინიაკის პენტჰაუსში. ამ შეხვედრის დროს „პრინცმა“ მას დუბაის ბანკის ყალბი წერილი წარუდგინა, 600 მილიონი დოლარის გარანტიაზე.

იმავე თვეში ისინი ერთმანეთს შემდგომი მოლაპარაკებებისთვის ქალაქ ასპენში შეხვდნენ. თავად საფერს ამ დროს პირველად შეეპარა ეჭვი. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ პოტენციური ინვესტორი მუსულმანური ქვეყნიდან ისლამის მიერ აკრძალულ ღორის ხორცის კერძს შეექცეოდა. დეველოპერმა უსაფრთხოების სამსახურს თაღლითის შემოწმება სთხოვა და ის მალევე გამოააშკარავეს.

საფერის საჩივრის შემდეგ ფლორიდის სამართალდამცავმა ორგანოებმა საკუთარი გამოძიება დაიწყეს. 2017 წლის ნოემბერში ჟინიაკი აეროპორტში დააკავეს, სადაც ის სხვისი სახელით იყო მისული. მის პენტჰაუსში აღმოაჩინეს სავიზიტო ბარათები სხვადასხვა სახელებზე, ყალბი დიპლომატიური ნომრები, საკრედიტო ბარათები, ათასობით დოლარი ნაღდი ფული და ფინანსური საბუთები საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის წევრის სახელზე.

2018 წლის მაისში ჟინიაკმა აღიარა, რომ თავს უცხოელ დიპლომატად და უცხო სახელმწიფოს ხელისუფლების ოფიციალურ წარმომადგენლად ასაღებდა. ასევე აღიარა პირადობის ქურდობის ბრალი დამამძიმებელ გარემოებაში, რომლის მიზანს შემდგომში თაღლითური ქმედება წარმოადგენდა. სავარაუდოდ მას განაჩენს აგვისტოში გამოუტანენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

13 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4403
- ევრო — 2.8593
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2317
- 100 რუსული რუბლი — 3.9329

## ამინდის პროგნოზი 13 ივლისისთვის





## იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი




ავთანდილ ბუხრაშვილი
ვინ მოკლა ინსპექტორი
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი




მაკა სეფაშვილი
დანაშაული აღარ მოხდება
ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## იუმორი

სათამაშოების მაღაზიაში მამაკაცი თოჯინა ბარბით ინტერესდება. გამყიდველი უხსნის:

– ეს არის ბარბი აუზში და 18,99 დოლარი ღირს, ეს – ბარბი კოლეჯში – 18,99 დოლარი, ეს კი განქორწინებული ბარბი – 199,99 დოლარი.

– კი მაგრამ, ეს ასე ძვირი რატომ ღირს?

– იმიტომ, რომ „განქორწინებული ბარბის" კომპლექტში შედის კენის სახლი, კენის მანქანა და კენის შვეულმფრენი.

•••

პატიმარი ცოლს წერილს სწერს:

– მადლობა პურში ჩადებული ქლიბისთვის, ახლა საკანში ყველაზე მოვლილი ფრჩხილები მე მაქვს.

•••

მატარებლის კუპეში ფსიქოლოგი და ფულიანი ბიძა ერთად მოხვდებიან, ერთმანეთს გაეცნობიან და ფულიანი ეუბნება:

– რადგან ფსიქოლოგი ხარ, მოდი, ჩემი აზრები გამოიცანი და ყოველ გამოცნობილზე 100 დოლარს გაძლევ.

– მე ფსიქოლოგი ვარ, მკითხავი კი არა...

– დაფიქრდი, 100 დოლარს გაძლევ!

– კარგი, შენ ზღვაზე იყავი დასასვენებლად და ალბათ ფიქრობ, თუ როგორ მაგრად დაისვენე!

– აჰა შენ 100 დოლარი. შემდეგ.

– რადგან მაგრად დაისვენე, მაშინ ულამაზეს გოგონასთან ერთად გაატარე დრო და მასზე ფიქრობ.

– ყოჩაღ, აი კიდევ 100 დოლარი. კიდევ?

– და ფიქრობ იმაზე, რომ სახლში დაბრუნება გეზარება.

– აილე, ეს 100 დოლარიც შენია.

– რადგან სახლში დაბრუნება არ გინდა, ე.ი. ცოლი გელოდება...

– აი კიდევ 100 დოლარი. მერე?

– მის მოკვლას ფიქრობ?

– გაჩერდი. აი შენ ათასი დოლარი!

– და რა მოხდა? ამდენი რატომ?

– ეს უკვე ფიქრი კი არა, იდეაა!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

მისამართი -ქ. თბილისი, ლ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით




## ჰარი კეინი: „მეორე ტაიმში მატჩზე კონტროლი დავკარგეთ"



ინგლისის ნაკრების ლიდერმა ჰარი კეინმა ხორვატიასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა თამაში კარგად დაიწყო, მაგრამ მეორე ტაიმში კონტროლი დაკარგა და წაგებაც ამის ბრალია.

კეინის აზრით, ინგლისმა ფინალში გასვლის კარგი შანსი გაუშვა ხელიდან და ეს მარცხი ძალიან მტკივნეულია.

– სამწუხაროდ, მეორე ტაიმი ცუდად ჩავატარეთ და მეტოქემ ამით ისარგებლა. ხორვატიის ნაკრებს ვულოცავ, რადგან მათ ეს დაიმსახურეს, მაგრამ ჩვენთვის ეს შედეგი მტკივნეულია და კიდევ დიდი ხნის მანძილზე არ დაგვავიწყდება. ჩემი თამაშით მსოფლიო ჩემპიონატზე კმაყოფილი ვარ, – განაცხადა ჰარი კეინმა.

## მამაკაცის სამმა საყვარელმა ალფონსი პოლიციას ჩააბარეს



ჩინეთის გუანსი-ჩჟუანსის ავტონომიური რეგიონის ქალაქ ნანინინში სამმა გოგონამ აღმოაჩინა, რომ ერთსა და იმავე მამაკაცს ხვდებოდნენ, რომელიც სხვადასხვა სახელს იყენებდა და თაღლითურად მათგან მსხვილ თანხებს სესხულობდა.

სიცრუე მას შემდეგ გაირკვა, როდესაც ერთ-ერთმა გოგონამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ის რეგულარულად ურეკავდა ვიღაც ქალს. მამაკაცთან კამათის შემდეგ, მან ხელში ჩაიგდო მისი ტელეფონი და თავად დარეკა.

გაირკვა, რომ ის იმავე მამაკაცს ხვდებოდა. ის მას სულ სხვა გვარით იცნობდა და ეგონა, რომ ის მაღაროს და საკრედიტო ბიზნესის მფლობელი იყო. მამაკაცმა მისგან 200 ათასი იუანი ისესხა, ვითომდა დედის სამკურნალოდ.

ქალებმა ერთობლივი ძალისხმევით მიაგნეს მამაკაცის მესამე საყვარელსაც, რომელიც ერთ-ერთი მათგანის კარგი ნაცნობი აღმოჩნდა. მისგან მამაკაცმა მერსედესი ითხოვა. ამის შემდეგ ქალებმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართეს და განუცხადეს, რომ მატყუარასთან შეხვედრას აპირებდნენ, როდესაც ის მანქანას დააბრუნებდა.

დანიშნულ დროს მამაკაცს სამივე ქალი ელოდა, ასევე პოლიციელები და ადგილობრივი ტელეარხის ჟურნალისტები. ის გაქცევას შეეცადა, მაგრამ ამაში ხელი ერთ-ერთმა ქალმა და პოლიციელმა შეუშალეს. ამას მოყვა ჩხუბი, რომლის შედეგადაც სამი ადამიანი დაშავდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პოლ პოგბა: „წარსულის შეცდომებს არ გავიმეორებთ"



საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველმა პოლ პოგბამ მსოფლიო ჩემპიონატის ფინალზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა წარსულის შეცდომები არ უნდა გაიმეოროს.

პოგბას აზრით, ხორვატიას შეუძლია ღირსეულად თამაში ფინალში და საფრანგეთისთვის მისი დამარცხება იოლი არ იქნება:

– 2 წლის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ფინალს მოვიგებდით, მაგრამ პორტუგალიამ დაგვამარცხა. წარსულის შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ და ფინალში დიდი ყურადღება გვმართებს.

## გონსალო იგუაინი ჩელსიში გადადის?



ტურინის იუვენტუსის არგენტინელი ფორვარდი გონსალო იგუაინი შესაძლოა გუნდიდან წავიდეს და კარიერა ლონდონის ჩელსიში გააგრძელოს.

იგუაინი ამ ტრანსფერის წინააღმდეგი არ არის, რადგან ჩელსი მას მაღალ ანაზღაურებას სთავაზობს, იუვენტუსში კი გონსალომ შესაძლოა ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგოს, მას შემდეგ რაც ამ გუნდში კრიშტიანო რონალდო გადავიდა სათამაშოდ.

ჩელსი მზად არის, 60 მილიონი გადაიხადოს, მაგრამ იუვენტუსი გაცილებით მეტს ითხოვს და ეს ფაქტორი ჯერჯერობით ამ ტრანსფერს აფერხებს.

## მარსელო შესაძლოა იუვენტუსში რონალდოს შეუერთდეს



მადრიდის რეალის მცველი მარსელო შესაძლოა იუვენტუსში გადავიდეს, სადაც მისი უკვე ყოფილი თანაგუნდელი კრიშტიანო რონალდო იმყოფება.

მარსელოს რონალდოსთან ერთად თამაში ძალიან კარგად გამოსდის და იუვენტუსი მისი გადასვლით ძალიან გაძლიერდება.

მარსელომ ინსტაგრამზე პოსტი გამოაქვეყნა, სადაც მან რონალდოს საუკეთესო ფეხბურთელი და ადამიანი უწოდა, რომლის გარეშეც მას ძალიან გაუჭირდება თამაში.

მიუხედავად ამისა, რეალი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მარსელო შეინარჩუნოს და კიდევ ერთი ლიდერი არ დაკარგოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 2. კოვბოების შეჯიბრი; 3. მწერი განვითარების ბოლო სტადიაში; 4. ქართველ სუმოისტ გორგაძის საპატიო ტიტული; 5. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 6. ავადმყოფობის შემობრუნება, განმეორება; 8. ტერიტორია, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა; 10. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 11. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 14. შემაგრებული ესპანური ღვინო; 15. თურქული აბანო; 16. ლეონ კავალის ოპერა „ჯამბაზების" პერსონაჟი.

**თარაზულად**: 1. ხორვატიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის" ფეხბურთელი; 4. მდინარის, ტბის, წყალსაცავის საშუალო დონე; 7. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 9. ძვირფასი ლითონების წონა მონეტაში; 12. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 13. სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე ძველად საქართველოში; 14. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 17. დიდი ციმბირული ირემი; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 19. ჩქარტემპიანი უნგრული ცეკვა; 20. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

